საქართველოს ფოცეი

№ 12

შინაარსი:

ქართული თეატრი—ნამი; რა რიგ მიეკარდი—ი. გრიშაშვილისა; ბასსი—ა. ფრონელისა; შინაური მიმოხილვა—***; *** ლექსი—ლევ. მეტრეველისა; სარდაფში—მარიამ გარიყულისა; მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა—იპ. ვართაგავასი; ცხოვრება, რომანი—მოპასანისა;

17 იანვარი — კვირეული საპოლიტიკო, სამეცნ. და სალიტ. ჟურნალი — 1910 წ.

ქართული თეატრი ტფილისში.

ქართულ თეატრს თავის ისტორიაში მზიანი დღეებიც ქონია და უკიდურესი გაჭირვებაც უნახავს. როგორც წლევანდელმა სეზონმა დაგვანახვა, დღესაც ქართულ თეატრის მდგომარეობა არ არის იმდენად სასურველ ნიადაგზე დაყენებული, რომ საშვალო მსმენელის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც სცენის ძველ მუშაკებში, ისე ახლებშიაც მოიპოებიან წარჩინებული ნიჭის პატრონნი, საერთოდ საქმე ისე ცუდად მიდის, რომ მოყვარეს გულზე სევდას მოგვრის, ხოლო მტერს სასიხარულოდ გააღიმებს.

თეატრის არსებობა და წარმარტება დამყარებულია სამს ელემენტზე: ქონებრივ სახსარზე, მსახიობთა მუშაობაზე და მსმენელთა ყურადღებაზე. ქონებრივად ქართული თეატრი არას დროს არ ყოფილა უზრუნველყოფილი. ქართველი საზოგადოება არც ისე ღარიბია, რომ მას არ შეეძლოს თავის კულტურულ დაწესებულებათა საზრდოობა, მაგრამ დღეს ისე დაქსაქსულია, იმდენად მოკლებულია საერთო მაცოცხლებელ ორგანიზაციას, რომ მას არ ძალუძს შესაფერად გამოიჩინოს სიცოცხლის ძალა და თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა ისე შეასრულოს, როგორც ეს კულტურულ ერს შეფერის. ამ საერთო შეუკავშირებლობას, ამ საერთო დაქუცმაცებას უნებლიედ მოყვა ჩვენი საზოგადოებრივი მაჯის ცემის შესუსტება ყოველივე კულტურულ საქმეში. მოკლებულნი საერთო ეროვნულ დაწესებულებებს, ჩვენ იძულებული ვართ ვეძიოთ შველა, დახმარება კერძო ორგანიზაციებში. ერთად ერთი საზოგადოებრივ ორგანიზაციის მქონე ჩვენში არის თავად-აზნაურობა. რა საკვირველია, თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას, არ შეუძლია გადალახოს თავისი წოდებრივი არსებობის ფარგლები, არ შეუძლია აიშოროს თავისი წოდებრივი თვისებანი და საერთო, საყოველთაო კრებულის როლი ითამაშოს. დღეს ჩვენ, როგორც კულტურული ერი, განვითარების იმ საფეხურზე ვდგევართ, როცა საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობის მიღებას ლამობენ ხალხის ყველა შემადგენელი ელემენტები. რა საკვირველია, ამ შემადგენელ ნაწილებში საზოგადოებრივ მოქმედებისადმი მისწრაფება სხვა და სხვა ძლიერებით გამოიხატება, მაგრამ ცალცალკე არც ერთი ელემენტი ისე ძლიერი კულტურულად არ არის, რომ შეეძლოს სთქვას: „მე ვარ და ჩემი ნაბადი გამთენებელი ღამისაო, მხოლოდ მე ვარ ეროვნულ ცხოვრების მატარებელიო“. არც ერთს ელემენტს იმდენი ძალა არ შესწევს არც ქონებრივად და არც გონებრივად. მაშ შეცდომა იქნება რომელიმე ერთმა წოდებამ, გინდ კლასმა რომ დაიჩემოს, მე შემომხედე, მხოლოდ ჩემი იმედი გქონდეს და სხვას ყველას თავი დაანებეო. ძალას, სავსე ძალას ქმნის მარტო შეთანხმებული მოქმედება, ის მოძრაობის დიაგანალი, რომელიც მოყვება ყველა წოდებათა თავმოყრილ, შეგუებულ და უპირატესობის მოპოებაზე დაფუძნებულ ბრძოლას. სავსე ეროვნული ცხოვრება მხოლოდ იქაა, სადაც საზოგადოებრივი ჯგუფები თავისუფლად ეჯიბრებიან ერთმანეთს კულტურულსა და პოლიტიკურს ასპარეზზე. ჩვენში სამწუხაროდ ასეთი პირობები არაა, რაც უნებლიედ იწვევს საერთო დაქსაქსვას და სისუსტეს. და აი ამ პირობებში ერთად ერთი ფართო ორგანიზაციის მქონე არის თავად-აზნაურობა. ყოველივე წოდებას თავისი საზოგადოებრივი თვისებები აქვს, რომელნიც განსაზღვრენ მისი მოქმედების ფარგალს და რომელთა გადალახვა მას არ ძალუძს. ამიტომაც ვისაც პირუთვნელად სურს დააფასოს ამა თუ იმ წოდების მნიშვნელობა, ის უნებლიედ იძულებულია ისტორიულ თვალსზარისს არ მოშორდეს, არ დაივიწყოს თუ რა შეუძლია მას მოსთხოვოს ამა თუ იმ წოდებას სამართლიანობა გვავალებს ვაღიაროთ, რომ თავად-აზნაურობა ამ საერთო დაქუცმაცების დროს

გულგრილად არ შეყურებდა ჩვენს კულტურულს საქმეებს. მართალია, დღეს ჩვენთვის ცხადია, რომ ჩვენს პოლიტიკურ დაცემაში დიდი წილი უდევთ მათ, როგორც ფეოდალობის წარმომადგენელთ, რომელნიც ყოველთვის ებრძოდენ ყველა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელნიც გაერთიანებისკენ იყვნენ მიმართული. მართალია ისიც, რომ პოლიტიკურად დაცემის შემდეგ მათი საზოგადოებრივი მოქმედება უკულმართად იყო წარმართული, რმსაც შედეგად მოჰყვა სხვათა შორის ჩვენი მიწა-წყლების სხვის ხელში გადასვლა და ჩვენი ერის დაქვეითება, გაბოგანების გზაზე დადგომა. მაგრამ ისიც მართალია, რომ თავად-აზნაურობას, როგორც ერთაულს, სავსებით არ დაუვიწყნია ჩვენი კულტურული საქმეებიც. ის ყოველთვის დახმარებას უწევდა და უწევს ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს. დაარსებიდანვე წერა-კითხვის საზოგადოებას თითქმის მუდამ უსასყიდლო ბინა აქვს, თითქმის ყოველ წლივ ის იღებს მცირედს დახმარებს, ეგრეთვე საისტორიო საზოგადოებაც, იგივე ითქმის ქართულ თეატრზედაც. ვერც ერთი ორგული ვერ ეტყვის თავად-აზნაურობას—შენ თეატრი მოგებისათვის ააგეო. ყველასთვის ცხადია, რომ როცა თეატრს აგებდნენ, უმეტესად ის მისწრაფება ასაზრდოებდათ, რომ ქართულ სცენისათვის საკუთარი კერა გაეჩინათ. მაგრამ რადგან თავად-აზნაურობაშიც ეს ფრიად სასიქადულო საზოგადოებრივი გრძნობა ერთგვარად არ გამომჟღავნდება, ამიტომაც დღესაც ქართულ თეატრს კიდეც აქვს კერა და არც აქვს. როცა, უფრო მოწინავეთ და ეროვნულად შეგნებულთ სურთ ბოლომდი მიიყვანონ საქმე, თავის მისწრაფება ღირსეულად დააგვირგვინონ, თავად-აზნაურობის წრეში ისეთი მომქმედნი პირნიც მოიპოებიან, რომელნიც არავითარ განსხვავებას არ ჰპოებენ ოპერეტის წარმომადგენელ გადამთიელთა და ქართველ არტისტებს შორის. ისინი ამბობენ: ვინც მეტს მოგვცემს, თეატრიც იმის იქნებაო. აი ამ ორ ძალთა ბრძოლა ახასიათებს თავად-აზნაურობის მოქმედებას თეატრის საქმეში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა თავად-აზნაურობამ ერთი ნაბიჯი კიდევ წინ გადადგას და თავის მხრივ დააგვირგვინოს ის საქმე, რომელზედაც დიდი ამაგი გაუწევია. რომ ჩვენი თეატრის შენობა საზოგადოდ მომგები არაა, ეს ყველასთვის ცხადია. ვინც მოგებას ეძებდა, იმას თეატრის მაგიერ დუქნები უნდა აეგო. და თუ დღეს ვინმე ცდილობს თეატრს დუქნის როლი ათამაშებინოს, ის ჩვენ საქმესაც ღუბავს და თავის დახლსაც ვერაფერს შემატებს. ამიტომაც საჭიროა თეატრის საქმეს თავად-აზნაურობამ ჩამოაშოროს ის პირნი, რომელნიც კომერსანტობას ჩემობენ იქა, სადაც საკომერსანტო არაფერი აქვთ, საჭიროა ის ქონებრივი მსხვერპლი, რომელიც ქართულ თეატრის ფეხზე დაყენების სურვილს შეეწირა, ამავე თეატრს მოხმარდეს. მაშინ ყველასთვის ცხადი იქნება, რომ თეატრი სავსებით უნდა გადაეცეს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას. რადგან აქ მხოლოდ ორი გზაა, ან ქართულ თეატრის გაძევება და საეკვო მოგებისკენ მისწრაფება, ან ქართულ თეატრის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, ამიტომ აქ არჩევანი აღარ შეიძლება. თეატრი უნდა მიეცეს დრამატიულ საზოგადოებას და ამით აშორდეს ის მუდმივი შიში, რომელიც დღეს მას გულში გაჯდომია. როცა თეატრი ბინის მხრივ უზრუნველყოფილ იქნება, მაშინ შეგვიძლია მას მეტიც მოვთხოვოთ.

ქართულ სცენას დიდი ზრუნვა მოელის არტისტების მხრივაც. მართალია, ჩვენ სცენას ყავს ბევრი დამსახურებული, დიდად წარჩინებული არტისტები, მაგრამ საზოგადოდ ჩვენი სცენა დღესაც თითქო მოყვარულთა სცენაა და არა ნამდვილ არტისტთა. ამის ერთ უმთავრეს მიზეზთაგანი არის ჩვენი სცენის ქონებრივი სიღატაკე. რომ ამ საქმეს რამე ეშველოს, ამისათვის საჭიროა დრამატიულ საზოგადოების სათავეში ისეთი პირნი ჩადგნენ, რომელნიც არტისტებსაც ამუშავებენ და საზოგადოებასაც თავის მოვალეობას აასრულებინებენ. მაშინ აუცილებლივ საჭირო იქნება სცენის განახლება. დღეს სცენაზე დარჩენის ღირსი მხოლოდ ისაა, რომელსაც შეუძლია მუდმივი, შეუწყვეტელი, ინტენსივური მუშაობა. დღეს არაა საკმარისი არტისტისთვის, რომ ის მარტო ნიჭით დაჯილდოვებული იყოს. თუ ნიჭთან ერთად მას არა აქვს შრომის უნარი და მისწრაფება გონებრივ ზრდისა და განვითარებისა, იმ არტისტისაგან არაფერი გამოვა. სცენა დღეს მეტად გართულდა, მასზე ბევრი მიმართულება იბრძვის, სცენა მეტად დიდ და ნაზ გონებრივ განვითარების მქონე პირთა სარბიელი გახდა. და თუ ჩვენ არტისტებსაც ეს განვითარება და გონებრივი წინმსვლელობა არ დაეტყოთ, ისე ჩვენ თეატრს ხეირი არ დაეყრება. შარშან ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ჩვენ საზოგადოებაში არიან ისეთი ყმაწვილნი, რომელთაც სწორედ დროს შესაფერი სასცენო მოღვაწეობა ეხერხებათ, რომელთაც აქვთ ნიჭიც და საკმაო გონებრივი საგზალიც, რომ სცენაზე იმოღვაწეონ. ესეთი ყმაწვილები ჩვენში არა ერთი და ორია. და აი სწორედ საღღეისო საქმეა—ეს პირნი მოვიზიდოთ, შევქმნათ მათთვინ ისეთი პირობები, რომ მათ ჩვენ სცენაზე მუშაობა შეეძლოთ. მაშინ ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ სცენას არტისტების მხრივ შიში არ მოელის. მაშ მკაცრი, გარკვეული ხელმძღვანელობა და ახალ ძალების შემოკრება, აი რა მოეთხოვება დღეს დრამატიულ საზოგადოებას.

თეატრიც ვერ ასცდა საერთო კულტურულ მდგომარეობას ჩვენში. ასი წლის ოინბაზობამ, თავის თავის უარყოფამ და უტიფრად გაქელვამ ჩვენ წმიდათა-წმიდისა ჩვენში შექმნა საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც სულით და გულით მოსწყდა

ქართველ ერს. ამ ჯურის ადამიანს რომ დაეკითხო, რატომ გაურბი ყოველ ქართველურსო, გიპასუხებთ—მე ის არ მაკმაყოფილებს და იქით მივილტვი, სადაც მეტს დაკმაყოფილებას მოველიო. ეს საზოგადოდ ადამიანის სისუსტის შედეგია, ის ცდილობს თავის სიგლა,ე, საზოგადოებრივი დაბეჩავება სხვისი სიგლახით გაამართლოს. მაგრამ ჭეშმარიტებაზე ძალიან შორსაა. აიღეთ თუნდ ჩვენში ჟურნალ-გაზეთობა. ყოველი ჩვენი მტერი, თუ ის ცოტაოდნად მიუდგომელი იქნება, გეტყვით, რომ დღეს ჩვენში ქართული გაზეთები უფრო შინაარსიანი, უფრო მიმზიდველია, ვიდრე სხვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენია ჩვენში გზა აბნეული არარაობა, რომელიც ამაყად ცხვირს ზევით ასწევს და გიპასუბებთ: მე ქართულ გაზეთს იმიტომ არ ვკითხულობ, რომ იქვერ ვპოვებ შესაფერ გონებრივ საზრდოსო. ეს სულით ბეჩავნი, ისტორიულად გზა დაკარგულნი, ჩვენი დუხჭირ პოლიტიკურ ცხოვრების მიერ შობილნი ხორცმეტნი ამავე თვალით უყურებენ ქართულ თეატრსაც. მათი შეხედულებით ქართული თეატრიც არ შეიძლება მათ ესტეტურ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე იდგეს. მათ რომ კითხოთ, ქართული თეატრი მხოლოდ „სახალხო“ უნდა იყოსო, თითქო „სახალხო“ უსათუოდ მდარეს უნდა ნიშნავდეს. რასაკვირველია, ჩვენ ამ გამდგართა ხმას ვერ ავყვებით, მით უმეტეს, რომ აქ სიმართლის ნატამალიც არ არის. ჩვენ სცენას აქამდისაც ხშირად დაუტკბია ესტეტიურად ამ გვარ ადამიანებზე უფრო მაღლა მდგომნიც. და შემდეგში, თუ საზოგადოება შესაფერად მოეპყრობა, კიდევ უფრო მაღლა აიწევს და განვითარდება. რაც უნდა იყოს, ქართველ საზოგადოებას კაცი ვერ უსაყვედურებს თეატრისადმი გულგრილობას. საუკეთესო ქართველი ინტელიგენტი და უბრალო დღიური მუშა აქ ერთმანეთს ხვდებიან და ერთნაირად მიილტვიან ქართულ წარმოდგენის მოსასმენად. წელსაც, როცა, შეიძლება ვთქვათ, ტფილისის სცენა მეტად სუსტია, არა ერთხელ თეატრიდგან გაბრუნებულა არა ერთი და ორი ადგილის უქონლობის გამო. და რომ ქართულ თეატრს მუდმივ მსმენელთა რიცხვი კიდევ გაუმრავლდეს, ამისათვის საჭიროა ფასები ხელ მისაწდომი იყოს და წარმოდგენებიც უფრო ხშირად იმართებოდეს. კვირაში უნდა იყოს არა ნაკლებ სამი წარმოდგენისა. როცა არტისტიულ ძალთა კრებული საერთოდ უფრო მომზადებული, შეთანხმებული და ძლიერი ექნება, როცა ფასები ნაკლები და წარმოდგენები უფრო ხშირად გაიმართება, მაშინ ქართულ თეატრს მსმენელი არ მოაკლდება. ამ მხრივ ჩვენ შიში არ მოგველის. ამ გვარად დღევანდელ ქართულ თეატრის მდგომარეობის გათვალისწინება ჩვენ ნათლად გვიჩვენებს, რომ თუ ყველანი, ვისაც ეს ვალად ადევს, ღირსეულად შეასრულებენ თავის დანიშნულებას, მაშინ ადვილია თეატრი მკვიდრ ნიადაგზე ღამყარდეს, სულით ძლიერი იყოს და შეიქნეს, ჩვენი ეროვნულ ცხოვრების ერთი ძლიერი ლამ-ლამპართაგანი.

ნამი

რა რიგ მიყვარდი...

(დღეობაში ნინოს)

ვით მთის ქურციკი შენს წინა ვრბოდი,
თავს დაგხაროდი, ვტოკავდი, ვთრთოდი,
„ჩემი ხარ, ჩემი“—ყურს ჩაგძახოდი.
განვერთხე შენს ფერხთ... მოვსპე ნაკარდი!..

* * *

შენ კი ეს როგორ გადამიხადე?:—
გამანადგურე... ფერფლად გამხადე,
გარს მომახვიე კაეშნის ბადე...
გამიხმე გულის ფურჩქვნილი ვარდი!...

* * *

ახ, რომ შეგეძლოს წარმოიდგინო,
ჩააკვდე გრძნობას, გაითვალსწინო,—
ჩემო მტანჯველო, ხმა ტკბილო ნინო—
თუ შენ ტლუ მგოსანს რა რიგ უყვარდი?

ი. გრიშაშვილი

ბ ა ა ს ი

I.

ნიათის გამოლევა.

სწორედ რომ ნიათი გამოელია საქართველოს. დიდი და პატარა დღეს იმას გაიძახის, ვიღუპებით, ვინა ხართ ქრისტიანი, გვიშველეთ, თორემ ნიადაგი, მამულ-დედული, ესე იგი ტერრიტორია ხელიდან გამოგვეცალაო.

მართლაც საოცარი და თითით საჩვენებელი ამბები ხდება დღესდღეობით. რომ ვსთქვათ, მეხი დაგვეცა, ქვესკნელი გაირღვა და შიგ ყირამალა ვცვივითო, ამით სინამდვილეს ვერ გამოვხატავთ, რადგან მეხზე უარესი უბედურება მოგვადგა კარზე. საქართველო უბედურებას ჩვეულია და ამ ხილით ვერავის გავაკვირვებთ, მაგრამ მაგარი ისაა, რომ წინად უბედურობას ბილწ და მზაკვარ მონასავით კი არ ვუშვერდით ზურგს, მოდი გამშოლტეო, არაედ, პროტესტს ვაცხადებდით, ბრძოლის უნარს ვიჩენდით და ხშირად ბრძოლის ველიდან, მართალია, ლაზათიანად შებერტყილი და გვერდებ დაზელილი, მაგრამ მაინც გამარჯვებული გამოვდიოდით.

დღეს? ეხლა? რითი ვიბრძოლოთ, თუ მართლა ნიათი გამოგველია. ვკივით და ვყივით, ავაზაკნო და მუხანათნო, მამულს სხვის ხელში ნუ აგდებთ, ნუ ჰლუპავთ ქვეყანასო. ჩხავილით თავის დღეში არაფერი გაკეთებულა და არც გაკეთდება. ერთს ტფილისის დღემოკლე რუსულ გაზეთში ბ-ნი ყარიბი სწერდა, მაღალ-მაღალ ფარდებში ფრენა აქ რა მოსატანია, საქმე ანგარიში და დახლიაო.

ვინ იცის, ეგები ბ-ნი ყარიბი ცამდის მართალია, რად უნდა ვეკამათოთ მართლის მთქმელს. რაც უნდა ჩლატიანი და უხეირო იყვეს დახლიდარი, ის მაინც ეცოდინება, რომ შაური მეტია ხუთგროშიანზე. ნიათ გამოლეულს და ვალებში დამხრჩვალ აზნაურს ერთი წინ უგორებს ბჭყვრიალა ოქროს, ხოლო მეორე ღიჭინებს და ჭრიალებს ისტორიულ გლახა ჭრიაშვილსავით და რაღაც მამაპაის ამაგზე აბამს გულგასაწვრილებელ ზღაპრებს.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ დღეს ყველაფერი დახლიდარის და მედუქნის საზომით იზომება. მე ქვემორე ამის ხელის მომწერელს ძალიანაც რომ არ მეპიტნავებოდეს დახლიდრისა და მედუქნის ფილოსოფია, რომ მძულდეს მათი მსუნაგობა და გაღმერთება „კუპისა“, განა ამით დახლიდრისა და მედუქნის მადას რამე დააკლდება? თქვენმა მზემ არაფერი, და თუ ჩემმა გამჩენმა ინება და ხახაში ჩაუვარდი, ისე ძვლიან-ტყავიანად გადამყლაპავენ, რომ ფეხის განძრევასაც ვერ მოვასწრობ.

აბა ქართველობას ნიათი არ გამოლეოდა, მაშინ ნახავდით, რომ თავში ცემას ადგილი არ ექნებოდა და ჩვენი ქვეყანა, ჩვენის წმინდა სისხლით მორწყული და გაპოხიერებული სავაჭრო ნივთად არ იქცეოდა.

ალაგ-ალაგ საქართველოში მამული ჩალის ფასად იყიდება. მოგახსენებთ მაგალითს. ელისაბედ თარხნიშვილი ჩავარდა გაჭირვებაში და ჰყიდის 500 დესეტინა (1000 დღიურს) ტყესა და სახნავს. სამი წელიწადია ზედ გადააკვდა ორ სოფელს, იყიდეთ, მე თავი აღარა მაქვს მამულის მოვლისა, შემოსავალს არას მაძლევთ და ბანკი კი თავისას არ იშლისო. ბოლოს როგორც იყო დაიწერეს პირჯვარი და გაბედეს ყიდვა და დაიწყეს ვაჭრობა. მორიგდნენ ოცდა ექვს მანათად დესეტინა, ანუ 13 მანათი დღიური. ხომ ოხრობაა ასეთი სასყიდელი! რიყე, ქვიშა და წვეტიანი კლდე რომ იყვეს, მაშინაც ღირს 13 მანათად დღიური. დამპალი საშარვლე მაუდი ფასობს არშინი 13 მანათად, 1200 ოთხკუთხი საჟენი მიწა ისე რა ღმერთი გაწყრება, რომ 13 მანეთი არა ღირდეს. დღესავით ცხადი და ნათელია, რომ აქ ფასის სიდიდეზე, ან შეუფერებლობაზე ლაპარაკი მეტი იქნება, ან და თუ ავხირდით და ვილაპარაკეთ, ცუდის გემოვნებით ოხუნჯობის მეტს არას გამოვიჩენთ.

მამულის ყიდვა დააპირა ათ კომლიანმა ოსების სოფელმა ცხავერმა და ოცდაათ კომლიანმა ქართველების სოფელმა გარიყულამ. გარიყულა უბანია ს. ახალქალაქისა. ყიდულობდნენ სანახევროდ, გარიყულა იღებდა 250 დესეტინას, ხოლო ცხაკერი ამდენსავეს. საგლეხო ბანკის დამფასებელმა დაათვალიერა მამული და გამოუცხადა გლეხებს, დესეტინაზე მარტო 16 მანათს გასესხებთო.

კარგად მოისმინეთ, რა მოხდა შემდეგ. ქართველებმა მაშინათვე უარი სთქვეს, არ გვინდა ყიდვა, რაზე დავიღუპავდით თავსა და მახეში გავებმოდითო. თურმე დღიური 8 მანათი ყოფილა და ჩვენ კი 13 მანათად ვაპირობდით ყიდვასაო. არ გვინდა, არ გვინდა, და ჩაფუშეს საქმე.

განა ყველა ეს სრულის უნიათობის ცხადი ნიშანი არ არის? განა ეს სრულს უილაჯობას გარიყულელებისას არ ამტკიცებს? სადაა აქ ნასახი ჭკუისა, გონებისა, ღვთის სახისა? ალბად ყველა ეს განძი და სულიერი სიმდიდრე უნიათობამ თან წაიღო და ჩაილულის წყალს მისცა.

რაც ოცდაათმა კომლმა ქართველმა ვერ მოახერხა, იმას ახერხებს ათი კომლი ოსი სოფელ ცხავერიდან. ცხავერი მეზობელია გარიყულასი, აქვთ ნათელ მირონობა და ნათესავობა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გარიყულას ნიათი გამოლევია, ცხავერს კი შერჩენია. რადა, ან როგორ მოხდა ესა, ამ ჟამად ნუ გამოვეკიდებით ამის გამოკვლევას და ძიებას. დავჯერდეთ ფაკტს.

ოსებმა უკვე წარადგინეს ბანკში 300 მანათი და იმედი აქვთ ორას თუმანსაც მომავალ ექვს თვეში ვიშოვნითო. დავგირავდები, მაზარას გავყიდი და მამულს კი ხელიდან არ გავუშვებო, იმედიანად სთქვა ალექსა ქარქუსაშვილმა. ცხავრელები ყიდულობენ 250 დესეტინას. ამ დღეებში იყიდეს კიდევ 50 დესეტინა მეორე თარხნიშვილისაგან და ნასყიდობის ქაღალდს მომავალ იანვარში ჩაიბარებენ. ორას თუმანზე მეტი უნდა შეაგროვონ ექვსის თვის განმავლობაში და ჩააბარონ ბანკს, დანარჩენ ვალს ბანკისას გადიწერენ და მიიღებენ ნასყიდობის ქაღალდს.

ვკითხე მყიდველებს, კაცო ჩააგონეთ როგორმე გარიყულელებს, იმათაც აიღონ ნახევარი, თორემ ეხლა თუ სახელით არიან გარიყულნი, შემდეგში ნამდვილად გაირიყებიან ცხოვრებიდან მეთქი და რაც უნდა კარგი ზღაპრები და ლექსები ჩააწერინონ ია კარგარეთელს, საქმეს ველარ გამოატრიალებენ და ჭრიჭინასავით ცმუკვა და ხტუნვა მოუხდებათ.

—არა, შენი ჭირიმე, ქართველებს ვერას შეავასმენთ. იმათ ცარიელი ღრიალი იციან...

როგორ მოხდა, რომ ბანკის მოხელის სიტყვა იელივით მარტო ქართველებს მოედო, ხოლო ოსებზე სრულიად არ იმოქმედა? როგორ მოხდა, რომ ათი კომლი ოსი ამოდენა უნარს იჩენს, ხოლო ოც-

დაათი კომლი შოშიასავით პირს აღებს და პირუტყვივით ღრიალებს: არ გვინდა, დავიღუპებით, თუ დღიურ მიწაზე 13 მანათს მივცემთო? როგორ მოხდა, რომ ოცდაათ კომლ კაცში ერთი არ აღმოჩნდა გონიერი და ჭკვათა მყოფი რომ ეთქვა მეზობლებისათვის: ხალხნო და ჯამაათნო, თავს ნუ ვიღუპავთ, კარზე მომდგარ ბედნიერებას წიხლს ნუ ვაზელთ, შეშა და ფიჩხი მუდამ საჭიროა და თუ ამ სამ-ოთხ წელიწადში თარხნიშვილს არას ვაძლევდით, მუდამ ხომ ასე არ იქნება, მამულს სხვა ჩაიგდებს ხელში და უფასოდ სახრესაც აღარ მოგვაჭრევინებენო.

გეკითხებით, როგორ მოხდა ყველა ეს საარაკო ამბავი? მოხდა იმიტომ, რომ ქართველობას ნიათი გამოელია, გამოიფიტა სულიერად და ნივთიერად და განძად შეგვრჩა ღრიალი, რომლის წყალობით ამ სამის წლის წინად სათავეში მოვექეცით აღელვებულ ცხოვრებას და გვიხაროდა ბავშვებივით: შემოგვხედეთ რა ბიჭები ვართ, სხვებს რომ სძინავთ, ჩვენ ვფხიზლობთ და ქვეყნის ჭაპანს მხნედ ვეწევითო.

ა. ფრონელი

შინაური მიმოხილვა

—

სოფელს თითქო თავისი თვითმართველობაც აქვს. მას მინიჭებული აქვს უფლება თავისი, სასოფლო მოხელეები თვითონ აირჩიოს. სამწუხაროდ, ეს მცირედი უფლებაც ხშირად ყალბდება, რადგან არჩევნები უმეტესად ხდება არა თავისუფლად, გარეშე ძალების ზედ გავლენის გარეშე. მაგრამ რაც უნდა იყოს, ისიც დიდი სიკეთეა, როცა სოფელი თავისივე მკვიდრს ირჩევს, რადგან, რაც უნდა იყოს, მას უფრო ეხერხება თავისი მეზობელი დაიმორჩილოს, მაზე გავლენა იქონიოს და ცუდკაცობა, ორპირობა, სოფლის ფულის გაფლანგვა არ შეარჩინოს, დღეს თუ არა შემდეგში ამა თუ იმ გზით სოფლის ნდობის ბოროტად გამოყენებისთვის დასაჯოს. მაგრამ როცა სოფელს თავს ახვევენ მამასახლისად ვიღაც გადამთიელს, უფრო ხშირად ნათრევს, გაწუწკებულს და სინდისზე ხელ აღებულ ადამიანს, მაშინ სოფლის მდგომარეობა მეტად უნუგეშო ხდება, სოფელი იძულებულია თავისივე ხარჯით შეინახოს ისეთი პირი, რომელიც ზიანის მეტს მას არაფერი უქადის. ვისაც სოფლად უვლია, ის არა ერთხელ წააწყდებოდა ამ ძალად გაბატონებულ ვაჟ-ბატონების თარეშს, ხშირად უნებლივ მოწამე გახდებოდა იმ სურათისა, თუ როგორ მათრახი ერთი გლეხის ზურგიდან მეორეს გადადიოდა. დრო არის ამ ხორცმეტისაგან მაინც განთავისუფლდეს სოფელი. როგორც გაზეთები გვატყობინებენ, კახეთში უკვე გადაუყენებიათ მთავრობის მამასახლისები. მეტად საჭიროა სხვა ადგილებშიაც ეს ზომა იქმნას განხორციელებული და ისედაც ათას ნაირად შევიწროებულ სოფელს ეს ზედმეტი და ურგები ბარგი მოშორდეს.

* * *

ჩვენ დღევანდელ მრავალ-მხრივ შევიწროებას სხვათა შორის ისიც ახასიათებს, რომ მეტად შევიწროებული გვაქვს კულტურულ მოქმედების ფარგალი. გონებრივ ძალებით ისედაც სუსტნი ვართ და ვისაც კი რამეს გაკეთება შეუძლია, ისინიც განიცდიან აუწერელ შევიწროებას, ვერ ჰპოებენ მცირეოდენ პირობებსაც, რომელშიაც ადამიანს ნაყოფიერი შრომა შეეძლოს, არამც თუ შეფერებულია ჩვენ კულტურულ სიძველეთა შესწავლა, ბინაც ვერ მოგვიპოვებია მათთვინ, ისე მაინც შევინახოთ, რომ დაღუპვის შიში არ იყოს. ოცი წელიწადია, ქართული საზოგადოება ფიქრობს ეს საქმე მოაწყოს, მაგრამ დღემდისაც ვერ მოუხერხებია მუზეუმის ბინის აგება. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ უკანასკნელმა კრებამ გადასწყვიტა ამ საქმეს ბოლო მისცეს და კიდეც ამ განზრახვით აირჩია განსაკუთრებული კომისია. კომისია უკვე მუშაობას შეუდგა. ჩვენ დაგვრჩენია, ვუსურვოთ საქმის ვითარების შესაფერი გულმოდგინება, გულმხურვალე მუშაობა, რომ ამ ფრიად საჭირო ეროვნულ საქმეს შესაფერი დაგვირგვინება მოყვეს.

* * *

ხუთ იანვარს ტფილისში საშინელი უბედურება დატრიალდა: ვერის დაღმართზე დაიმტვრა ტრამვაის ვაგონი, რასაც შედეგად მოჰყვა 27 კაცის მძიმედ დაშავება, დაშავებულთა შორის ოთხი უკვე გარდაიცვალა. ვინც ტრამვაის საზოგადოების მოქმედებას ამ ბოლო დროს ყურს უგდებდა, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ რამე გვარი უბედურება უსათუოდ დატრიალდებოდა ამ გზაზე. ბოლო დროს ქალაქის რკინის გზის გამგეობა შეუდგა მოსამსახურეთა სისტემატიურ დევნას; შემოკლდა შტატები, გაგრძელდა სამუშაო დღე, გამოცდილ და მცოდნე მოსამსახურეთ სდევნიდნენ და მათ ადგილზე იწვევდენ გამოუცდელ და შეუგნებელ პირებს. გზაზე გამეფდა ათასნაირი მგზავრთა შემავიწროებელი ფორმალობა. რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში ყოველივე უბედურება მოსალოდნელია. ხოლო დღეს რაკი ეს შემაძრწუნებელი უბედურება თვალწინ გვაქვს, საჭიროა სასტიკი ზომები იქმნას მიღებული, რათა გზის გამგეობის თვითნება თარეშობას ფრთა შეეკვეცოს და მცხოვრებნი უზრუნველ ყოფილი იქმნენ უბედურებისაგან.

* * *

თუმც ქვეყნათ ვცხოვრობ, დედამიწის ვარ მკვიდრი შვილი,
მის ფერფლათ ქმნილი ისევ მთოვე გადავიქცევი,
სასზედ ვატარებ მე სიცოცხლის იდუმალ წუთებს
და იდუმალი ძალიერებით მის მტვრათ ვიქცევი.

მაგრამ სურვილი, ეს უსაზღვრო კაცის თვისები,
ვერ დაიმორა დედამიწამ, ვერ სდო თვის ნება.
ის თავისუფლად განშორდება მთლად დედამიწას
და ცის სივრცისა შორს უფსკრულში დაიტენება.

მსურს, რომ გარდვიქცე მაწიერი ხმის ზეციურათ
იქ, ცის სივრცეში მოგსძებნო მე იდუმალება,
გადმახსნას გული, რომ მით ნათლად ადმოვიკითხო
მთელი მსოფლიოს სახარული ანუ წამება.

მსურს ვიხილო იქ ქვეყნის გამგე ძალთა-ძალები,
იქვე გავიგო კაცთ სიცოცხლის დასაწყის-ბოლო,
მთლად შეგისწავლო მე ბუნება, ცხოვრება, ძალა
და ხალხს მონადმნილს უვიცობის ეს გავაგონო.

ოჰ, რათ არ ძალმიძს, რომ გონებაც გამოვეხიზლო
ნათლათ ჭვედავდეს მთლათ ცხოვრებას ისე ვით თვალი
რომ გამოცანა მთელის ქვეყნის მცირედც აიხსნეს,
იქნებ სიცოცხლე ადარ იყვეს ფუჭი და მწარე.

ლევ. მეტრეველი

საღდაფში

—

მთელი დღე ნელა სცრიდა თოვლი, სველ მიწას ნაცრის ფრად ეფინებოდა და ისევ ჩქარა მალე დნებოდა, ითელებოდა კაცის, პირ-უტყვის ფეხით. დანდობა არა ჰქონდა მის სისპეტაკეს, არც ის ინდობდა ადამიანს, თავისს გაციებულის სხეულით ყინულათ ევლინებოდა ქვეყანას, სუსხიანი და შეუბრალებელი იყო. ზამთარი, ზამთარი— ეს ღარიბთა ტანჯვის საუკუნე, ცივათ და გულ გრილათ გამოიყურებოდა. ქალაქის № მოედანზე, ტილოთი გადახურულ კარვებში, აქა იქ გაეჩაღებიათ მაყლები და სველ ხელ-ფეხს ითბობდნენ.

— აი, თევზი, თევზი, რა თევზი—ყვიროდა ერთი კინტო და ქაფ-ქაფა ქვაბიდან იღებდა მოხარშულ დოშის ნაჭრებს, თაბახზე აწყობდა და ამზადებდა გასაყიდად; თაბახს ორთქლი ასდიოდა და მის ბურუსში ჰხვევდა მყვირალა და გაქონილ ახალოხიან კინტოს. მის მახლობლად გლეხი გალიაში ჩასხმულ ვარიებს აჩვენებდა და სთავაზობდა მუშტარს. აქეთ ვიღაცა ყველს უწონიდა ბიჭს, ვაჭრებს დუქნის დარაბები დაეღოთ. ცხვრის ტყავის ქურქები წამოესხათ, ხელები სახელოებში ჩაემალათ და დუქნების წინ დადიოდნენ, მასლაათობდნენ, ლაპარაკობდნენ. ხარაზსაც გაეღო კიბის ქვეშ მოთავსებული თავის პაწია სახელოსნო, ცხვირ გაყვითლებული, მობრეცილის სათვალით, ნაღვლიანის სახით აკერებდა ძველ ჩუსტებს. წინ პატარა, სახე შემურვილი შეგირდი ეჯდა და ისიც შველოდა თავის აღას.

— ეგ ეგრე არ არი, შვილო, ეს ნაჭერი ქუსლთან უნდა დაგედო. აარღვიე ეხლავე და მანდ თხელი რამ დაუდე. აი, თუ გინდ ეს—უთხრა ხარაზმა და მიაწოდა პატარა ტყავის ნაჭერი.

— შემეწიეთ გაჭირვებულს,—მოისმა ამ დროს და კარებს მოადგა ახალ გაზრდა გოგო. მის დაკონკილ ნაფლეთებიდან სისაწყლე და სილატაკე იცქირებოდა, ტიტველ კანს ვერ უფარავდა დაკონკილი კაბა. სიცივით კანკალებდა, კბილებს აქაცქაცებდა, გულზე გადაფხრეწილ ძველ პერანგს ორივე ხელით იფარებდა მკერდზე, მაგრამ, თითქოს განგებ, მისი ფუნთუშა და ვარდის ფერი ძუძუ წამდაუწუმ გამოჰყოფდა ხოლმე თავს. ბეჭებზე დაყრილი ჰქონდა შავი ხუჭუჭა თმა. ტალახში დასვრილ ფეხებს რაღაც სისათუთე ეტყობოდა. კაცს რომ მისი ხელები დაენახა, უნებურად იფიქრებდა: რომელ თავადის ქალს ეკუთვნის ეს ბროლივით დათლილი თითები და ლამაზი ვარდის ფერი ფრჩხილებიო,—მათხოვარა ცოტა ხანს ხარაზის წინ იდგა, მისჩერებოდა მოელვარე, დიდრონის შავის თვალებით და აღარაფერს ეუბნებოდა. დაღლილ-დაქანცულობა ეტყობოდა მის უმანკო სახეს.

— აბა რა მოგცე, შვილო! ხომ ხედავ შენზე უარესი საცოდავი ვარ, ხუთი შვილი გამოსაკვები მყავს, ავადა ვარ და მაინც ვმუშაობ. შენ-კი რა გიშავს? აბა მითხარი, რა გაქვს სამათხოვრო? საღსალამათი ქალი ხარ, იმუშავე და გამოიკვებე შენი თავი,—უთხრა ხარაზმა და ამოუბნია საკერავს გრძელი მახათი. ქალი უსიტყვოთ განშორდა ხარაზის დუქანს და ყასაბს მიადგა. ახალგაზრდა, პირ მოპარსულმა ბიჭმა ღიმილით შეხედა და რაღაც უწმაწური სიტყვა შესთავაზა. მათხოვარი მოშორდა იმ ადგილსაც და ერთ დიდ ალაყაფის კარებში შევიდა. უკან პატარა დაკონკილი ბიჭი დასდევდა. სახეს იბრეცდა და ჯოხის ბაკუნით მიჩაკუნობდა. როგორც სამათხოვრო ადგილს გასცილდებოდა, ღონივრათ დაჰკრავდა ჯოხს მიწაზე. ორივე ხელებს მოავლებდა, შეხტებოდა მაღლა და შორს გადახტებოდა, მისი დიდი განიერი ფარაჯა განივრათ მიფრიალებდა და სრულებით არ ეკარებოდა უპერანგო გამხდარ სხეულს. ზამთრის პატარა დღე წანწალში დაალამეს. დაბინდდა, თოვლმა იმატა, ეხლა ბამბის ფთილებივით ფართეთ სცვივოდა ათასობით, მილიონობით, უანგარიშოთ. ჰაერი უფრო დამძიმდა და ჩამოთბა. შავი ქალაქი გაეხვია თეთრ ჩადრში

და თითქოს საუკუნო განსვენებას მიეცა. ერთ ქუჩის კუთხეში ნელა გაიღო სარდაფის კარი და კარებზე დაეშვა ვიღაც დაკონკილი დედა კაცი. სარდაფიდან მძიმე ნოტიოს სუნი ამოვარდა. ფათურით შევიდა დაბალ ოთახში და ასანთი გაჰკრა. ოთახს ჰქონდა ერთი პატარა სარკმელი, რომელიც ისე იყო მოსვრილი ტალახითა და მტვერით, რომ ოთახში სინათლეს არ უშვებდა. ერთ დანგრეულ ტახტზე რაღაც ლოგინის მგზავსი კონკები ეყარა. ერთი შავი სკივრი იდგა კუთხეში. პირჩამონგრეულ ბუხარში იდგა ქვაბი, ზედ ბუხარზედ ჭრაქი ბოლავდა და იქაურობას ჭვარტლით ავსებდა.

ოთახის მეორე კუთხეში მეორე ტახტი იდგა, რომელზედაც უფრო სუფთა ლოგინი ეფინა. ეტყობოდა, რომ ვიღაც განსაკუთრებულის პატივით სარგებლობდა ამ ოჯახში.

დედაკაცმა მოუკიდა ჭრაქს და ისევ დასდგა ბუხარზე. პურებით სავსე ტომარა მოიხსნა და იქვე დააყუდა. შემდეგ ტალახიანი ჩუსტები დაიხადა და ბუტბუტით მოჰყვა საქმის კეთებას. ცოტა ხნის შემდეგ ბუხარში ცეცხლი აპრიალდა, ფეხ მოტეხილ ზედადგარზე ქვაბი იდგა და მეხორცეებში შეგროვილი სხვა და სხვა ხორცის ნაჭრები იხარშებოდა, ორი პატარა ქალ-ვაჟიც იქვე ისხდნენ და დაფიჩხებულ ხელ-ფეხს ითბოდნენ. ცალი თვალით ბრმა ქალი ხშირათ ასწევდა ხოლმე თავს, ცალის თვალით დახედავდა ქვაბს და სახეზე სიამოვნების შუქი ეფინებოდა. უფრო მოზდილი ბიჭი სიცილით უამბობდა ბებერს იმის ამბავს, თუ როგორ მოინდომა ერთმა ქალმა მისი გამოტეხა, მართლა მუნჯი იყო თუ არა.

— მარგოს ადრე დავცილდი, მერე ვზივარ ჩემთვის. ეს ჩემი ქუდი წინ მიდევს. ვიწერ პარჯვარს და ვემხობი მიწაზე, აი, შეხედე დიდედო! ცხვირსა და შუბლზე სულ გადამძვრა ტყავი. პირს ვაღებ და ამ თითს ხან პირში ჩავიკრავ, ხან ყურზე დავიდებ. ვნახოთ, ამ დროს ერთი მდიდარი ქალბატონი დამადგა თავზე.,—პატარა ბიჭო,—მეუბნება—ამ ქისას შენ მოგცემ, ოღონდ ერთი დაიძახე მეო და შეატრიალა ხელში ვერცხლის ქისა. ის იყო უნდა დამეღო პირი და დამეძახა—მე, რომ უეცრად მომაგონდა ჩემი სიმუნჯე. ისევ ჩავიკარ პირში თითი და ავღრიალდი: ე—ე—ე... მაშინ აიღო და ეს უზალთუნიანი დამიგდო ქუდზე.

ეე, დამაცა, შენზე კარგი ოინები მე გავსწიე.—დაიყვირა ცალ თვალამ.

— როგორც გათენდა ი ლეჩებნიცის კარებთან ავიტუზე, როგორც დამარიგე, დიდედა, ვიტირე და ვიღრიალე. როგორც იყო შემიშვეს. ის დოხტური იყო თუ ვიღაც სათვალიანი, შევსჩივლე ჩემი თვალის ამბავი. ღარიბი ვარ მეთქი, რეცი დამიწერა, კი არა მაჩუქა იმ ჯანდამწვარმა..

— მერე წამოვიღე ის რეცი და ვინც შემხვდა ისეთი, რომ გულკეთილობას შევამჩნევდი, ავტირდებოდი: შემეწიეთ, შეგეწევათ ღმერთი, დედა მიკვდება, ექიმმა რეცი დამიწერა და წამლის ფული არა მაქვს მეთქი. მიცოდებდნენ და კარგი მანეთ ნახევარი ვიშოვე, აბა, შენ რა იშოვე რაღაც ორი აბაზ უზალთუნი!

— ჰო, კარგი, ნუ ყბედობ. თუ იშოვეთ რამე, ისევ თქვენ ჩასახეთქ მუცელს დასჭირდება,—შეუტიათ ბებერმა. რამდენ ბარაქლობას გამოიჩენთ, იმდენათ უფრო შემაყვარებთ თავს.—დაუწია კილოს.—მაშ ტყვილა აგიყვანეთ და გაგზარდეთ უპატრონო ობრები? მე რომ არ გაგჩენოდით, ხომ შიმშილით დაიხოცებოდით. თქვენც უნდა იმუშაოთ და ასიამოვნოთ თქვენი მოხუცი დიდედო. მარგალიტა, რა იქნა კოსტა, როაღარ მოდის. კარებს ვიღაცა მოაწვა, მუნჯი წამოხტა და კიბისკენ გაჭქანდა.

— მარგო საღამოზე ვნახე ერთ ეზოში, ვიღაც ვაჟსა და ქალს ელაპარაკებოდა,—სთქვა ცალ თვალამ.

— რაო, რას ელაპარაკებოდნენ?—შეუტია მოხუცმა ბავშს. მუნჯმა გააღო კარები. კიბეზე ჩამოვიდა ვიღაც ახალ გაზრდა ლამაზი ვაჟი.

— გამარჯობა, დედი.—დაიძახა რიხიანათ ახალ მოსულმა, სველი ტყავის პალტო მოიძრო, ტახტზე მიაგდო, სახეზე ჩამოფხატული ქუდი მოიხადა. ბავშვებმა მოწიწებით, დაუდგეს სკამი და ახალ მოსულიც მიუჯდა ცეცხლს.

— ბებერმა მრისხანე თვალები მოაშორა ცალ თვალას და ალერსით გადახედა შვილს.

— დაიგვიანე, კოსტა, ჩემო ნებიერო...

— ჰო, ჩემ მეგობარ ხარაზს ავყე ლაპარაკში.

— რას აკეთებ იმ ვიღაც ხარაზთან? სულ იმას ზე გაიძახი, იმასთან ვიყავი, იქ შეგიყვარდაო.

— თავს მოიყრიან და ლაპარაკობენ, მერე იაკობი წიგნებს კითხულობს, როცა მუშაობას მორჩება,-სთქვა ვაჟმა.

— მერე შენ რა ფლავი?..

— ყურს უგდებ, ნეტაი მეც ვიცოდე კითხვა, ისეთ რამეებს კითხულობს, რომ ყური არ გინდა მოაცილო... მეც ვიწყებ ეხლა იაკობთან სწავლას.

— მარგალიტამ დაიგვიანა.

— შენ ცუდი თვალები გაქვს,—უთხრა ციცათ ბებერმა.

— რა იყო,—გაიკვირვა ვაჟმა.

— ის იყო, რომ ის გომბიო ხელიდან წაგვივა. მართალია, აქაური არ არის და მშობლებიც შორსა ჰყავს უთუოდ; არც მის პატრონს და არც მას არავითარი ეჭვი არა აქვთ, მაგრამ... მაინც ასე ვგრძნობ, ის ჩვენ არ შეგვრჩება. გაიქცევა.

— სისულელეა, სად უნდა გაიქცეს? რათ უნდა გაიქცეს? ვერ უყურებ, რა ლამაზია? რომ უყურებ, ბრაზი მომდის, ასეთი მშვენიერი რომელმა დედამ შობა მეთქი. რას დახარე თავი! შეიომხედე

სახეში. მე მესმის, კარგა ხანია მესმის შენი გულის ძგერა. ხომ ლამაზია მეთქი, გეკითხები.

— ჰო, ლამაზია,—უთხრა შვილმა და უფრო დასწია თავი ძირს.

— ჰო, ლამაზია და კიდეც ეგ გამოგვაცლის ხელიდან ჩვენ გაზრდილ საუნჯეს. შენი ბრალი კია, შენ ატყდი, ტირილით თავი მოიკალ, თორემ როცა მოიყვანა ცხონებულმა მამა შენმა, ჯერ კიდევ სამი წლისაც არ იქნებოდა. მაშინვე შეგვეძლო დაგვემახინჯებინა ან თვალით ან ცხვირით ან ხელ ფეხით.

— აქედანვე შემიყვარდა. იმასაც უყვარდი... დღეს კი თითქოს მერიდება, ეშინია ჩემი.

— ჰო, გაბადრულ მთვარესავით დადის. ბრმა არ არის და კოჭლი, ვინ რას მის-კემს. ამ უკანასკნელ ხანებში სულ ვეღარას შოულობს. საქმეზედაც გული აიცრუა: არ მაძლევენო, შემომიტევს ხოლმე უკმეხად.

— დღეიდან აღარ წავა მარგო მაგ ხელობაზე,— სთქვა კოსტამ.

— როგორ, რით ირჩინოს თავი, ქალბატონათ ხომ არ დავისვამ?—გაიკვირა ბებერმა.

— მე ასე მითქვამს, ხელი უნდა აიღოს.

— ვაა, მიზეზს არ ამბობ?

— მიყვარს.

— აი ახალი ამბავი!

— ეგ ხომ დიდი ხანია ვიცი. გიყვარდეს, მერე ვინ გიშლის. შენი სიყვარული იმის მუშაობას რა ხელს უშლის?

— რომელ მუშაობაზე ამბობ, დედა ჩემო! ეგ მუშაობაა? კარგია, ცოლი სხვის კარ და კარ ვაწანწალო და მისი ნაშოვარი მე ვსჭამო! მარგალიტას არ შეჰფერის მათხოვრობა.

— გენერალს დამიხედეთ!—გადიხარხარა დედაბერმა.—მე და მამაშენი რა თქვენზე ნაკლები ვიყავით, რომ ვმუშაობდით?

— ამას მუშაობა არა ჰქვია. მომწყინდა ასეთი ცხოვრება. ხშირათ ვდგევარ სადმე ქუჩის კუთხეში და შურით შევყურებ იმ წელში მოხრილ მეკურტნეებს, რომელნიც ოფლში იწურებიან და თავს ირჩენენ. უყურებ და მშურს იმათი ბედი. სანამდე უნდა ვიყო ასე უსაქმოთ, თქვენი შემყურე! ხშირათ ვეკითხები ჩემს თავს: „კოსტა, რითა ხარ სხვაზე ნაკლები? ყველა შენი ტოლი საქმეს აკეთებს, შენ კი ასე დაყიალობ?.. რატომ ხელობა არ ვიცი? თქვენი ბრალია. მარგალიტა რომ არ მიყვარდეს, ეხლავე მოვძებნიდი იმის მშობლებს და ჩავბარებდი, მაგრამ არა... მე ვიმუშავებ, იმას კი დავასვენებ. იმის ერთი შემოხედვა ჩემთვის სამოთხის კარების გაღება იქნება. არა, მოვკლავ, სხვას კი არ დაუთმობ. სად არის ამდენს ხანს, ყველაფერი უნდა უთხრა, უნდა გამოვტყდე.

— გაგიჟებულხარ! — გააწყვეტინა დედამ სიცილით.

— დედა ჩემო, სისხლს მიმღვრევს შენი სიცილი. ნუ იცინი ეგრე, ნუ იცინი. შენ არ გინდა პატიოსან გზას დავადგე. რა არის ჩვენი საქმელი? მდიდრების ნასუფრალი და საყასბოებში შეგროვილი ხორცი, როგორც ძაღლებს გადაუყრიან ხოლმე. მერე უნდა ვსჭამოთ კი ეს საქმელი?—და გაბრაზებულჰა ჰკრა ქვაბს ფეხი, მაგრამ დედამ დროზე წაავლო ხელი ქვაბს.

— რამ გაგაგიჟა, ბიჭო! დიდი ხანია გატყობ, ჩვენი ოჯახისა აღარაფერი მოგწონს,—შეუტია დედამ და ჩაღრმავებულ თვალებში რაღამაც ჭიქასავით გაუელვა, მომჭკნარი სახე დაეღმიჯა და შემურულ პირზე გამოუჩნდა ჩაყვითლებული მაღალი კბილები.

— ჩვენ ოჯახი არა გვაქვს, არა, არა!

ვილამაც კარები დააკაკუნა. კოსტა გადახტა, სირბილით აირბინა კიბე და კარი გააღო. კიბეზედ გამოჩნდა თოვლით გათეთრებული მარგალიტა.

მარიამ გარიყული

(დასასრული იქნება)

||||||||||||||||||||||

მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდგან.

დამოუკიდებელი ან ოქროს ხანა.

VII

მომზადების ხანას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურისა და მთლად ქართველ ხალხისათვის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ხუთი საუკუნის მუდმივ და ბეჯით გონების და აზროვნობის ვარჯიშობამ, ხუთის საუკუნის განმავლობაში შეუწყვეტელ მისვლა-მოსვლამ, გონებრივ-ზნეობრივ კავშირმა მაღალ განათლებულ ბიზანტიასთან შესაძენევათ მოამწიფა ქართველთა ქრისტიანული შეგნება, ქართული ენა და ნიადაგი მოუმზადა **ქართულს დამოუკიდებელ** ლიტერატურას.

მართლაც, ქართველებს რომ არ ჰქონოდათ თითქმის პირველი დღეებიდგან ქრისტიანობის მიღებისა ქართულ ენაზე სასულიერო წიგნები, ისინი ისე მალე და ღრმად ვერ შეითვის-შეიგნებდნენ ახალ სარწმუნოებას და ისე ადვილად ვერ მიიღებდნენ საეკლესიო დამოუკიდებლობას. გარდა ამისა, ქრისტიანობის ღრმად დამკვიდრებას წიგნების საშვალებით ქართველებისათვის ჰქონდა დიდი ეროვნული მნიშ-

[1]; დ. ჩუბინაშვილი. ეტნოგრაფ. განხილ. ძველი და ახალ კაპადოკიის ან ბანეთის მცხოვრ., გვ. 6—7.

ვნელობა. მწვავე, შეუწყვეტელ და, საუბედუროდ, არა თანასწორ ბრძოლაში ყოველ მხრივ აზღვავებულ და გააფთრებულ მტრებთან, ქართველებმა შეინახეს თვისი ეროვნება და ამ ეროვნების უმთავრესი დედა-ბოძი—ენა იმის წყალობით, რომ არ შეწყვეტილა საქართველოს ეკკლესიებში და მონასტრებში ლიტერატურული შრომა და ქართულად ღვთის დიდება. რა მოუვიდათ ჩვენ თანამოძმეებსო, კაპადოკიის ძირითად მკვიდრთ—ლაზებს?—რადგანაც მათ არ ჰქონდათ თავიანთ ენაზე ნათარგმნი საღმრთო წიგნები, და ღვთის მსახურება სრულდებოდა ბერძნულს ენაზე, ლაზებმა დიდხანს ვერ შეითვისეს ქრისტიანობა, ვერ შეისისხლ-ხორცეს მისი დიადი ზნეობრივი მოძღვრება, და 1192 წელს, როდესაც ოსმალოებმა დაიპყრეს მცირე აზია და დაარსეს იკონიის სამეფო, მათ ადვილათ, თითქმის ძალ-დაუტანებლად, მიიღეს ისლამი და დაივიწყეს თვისი ენა და ენასთან ერთად ეროვნებაც [1]).

ცნობილია, რომ ზრდა და განვითარება რომელიმე ერის ლიტერატურისა მჭიდროდ დაკავშირებულია ამ ერის პოლიტიკურ და ეკონომიურ ზრდა-აღორძინებასთან. ბედი ლიტერატურისა დაკავშირებულია ერის ბედთან. ერის მომწიფება—ლიტერატურის მომწიფებას იწვევს; ერის პოლიტიკური და ზნეობრივი ძალა—ლიტერატურის გავლენას აფართოებს. ერის შესუსტებას და დაცემას პოლიტიკურად და ზნეობრივად აუცილებლად ლიტერატურის დასუსტება და ბოლოს დაცემაც მოსდევს. ეს ისტორიული და უტყუარი კანონია.

ამ თვალსაზრისით რომ შეეხედოთ საგანს, ქართულ გონებრივ სიძლიერეს საძირკველი უნდა ჩაჰყროდა დავით აღმაშენებლის მეფობაში და ამ საძირკველზე აუცილებლად აშენებულიყო თამარ მეფის დროს კოპწია, მშვენიერის ჩუქურთმებით შემკულ-შეზავებული ნაყოფი გონებისა—ქართული ლიტერატურა.

დავით აღმაშენებელმა ჩაიბარა დაუძლურებული, მინგრეულ-მონგრეული და მთლათ განადგურებული სამშობლო. მთელს საქართველოში 600,000 მცხოვრებლები-ღა ითვლებოდა. როგორც ყოველთვის, ყვავილნი ჩვენის ერისა—თავდადებულნი გმირნი თითქმის ამოსწყდნენ. თფილისი, რუსთავი, სამშვილდე, არაგვი, ტაო, თრიალეთი, კლდე-კარი თათრებს ეჭირათ. იმერეთში, შიგ ქუთაისშიაც, ბატონობდნენ ბერძნები. მხოლოდღა აფხაზეთი დარჩათ ქართველებს გასახიზნად და თავ-შესაფარად [2]). სპარსელები წეწდნენ და გლეჯდნენ რანისის მიდამოს; სომხებიც შეუწყვეტლად თავს გვესხმებოდნენ... გატყდა ქართველი, აოხრდა მისი მწვანედ მობიბინე ტყე-ველი, უდაბნოდ გარდაიქცა მდიდარი და ნაყოფიერი ქართველთა მიწა-წყალი...

მხოლოდ დავითის გენიოსობამ იხსნა საქართველო... ჯვაროსნებმა ნიკეის, ედესსის და მეტადრე იერუსალიმის დაჭერით შეასუსტეს ოსმალთა ძალი. დავითმა ისარგებლა ამ გარემოებით და იარაღს ხელი მოჰკიდა [3]): თამამად შეუდგა საქართველოს აღშენებას. მან დაიმორჩილა მძაფრი და გაცოფებული მუსულმანთა ურდოები, ზოგი კი მთლად გარეკა საქართველოდგან; თფილისი თათრებს გამოგლიჯა ხელებიდგან; შემოიერთა კახეთი და ერეთი; წაართვა ტაო თათრებს და დასაჯა სომხები მათი ყოფილი დედა-ქალაქის ანის წართმევით. რომ უზრუნველ ეყო სამეფოს საზღვრები მტრების თავდასხმისაგან, მან გააფართოვა სამეფოს საზღვრები კასპიის ზღვამდე [4]). სამშვილდე წაართვა სპარსელებს; შირვანში გაგზავნა თვისი შვილი დიმიტრი და ხმლით დაიმორჩილა. დავითი ისე მომაგრდა და გაძლიერდა, რომ თითონ გაემგზავრა ჯარით და დაიპყრო სპარსელების ქალაქი ქაბალა. აქედგან დაბრუნდა ანატოლიაში და დაიპყრო მთელი ადგილები პონტიის ზღვისა ტრაპეზონამდე. სასტიკად დაამარცხა დავითმა აგრეთვე სპარსეთის შაჰი დურბესი, რომელიც თავს დაესხა საქართველოს და უნდოდა მისი დაპყრობა; თითონ წაართვა სპარსელებს ყარაბაღი და დერბენტი [5]). ერთის სიტყვით, შავი ზღვიდგან კასპიის ზღვამდე დავითი გახდა უძლეველ და მტრებისთვის თავ-ზარ დამცემ ბრძანებლად [6]).

დავითის შემდეგ გამეფდა დიმიტრი, რომელიც ბრძნულად მართამდა სამეფოს და მამასავით სახელოვანად ებრძოდა გარეშე მტრებს. მოხუცებლობის დროს დიმიტრი აღიკვეცა ბერად და ტახტი გადასცა დავით III., რომელმაც იმეფა ექვსი თვე [7]). სიკვდილის წინ დავითმა სამეფოს მართველად შვილის (დემნას) მცირეწლოვანობისა გამო დანიშნა ძმა თვისი გიორგი, რომელიც ერთი წლის შემდეგ თვით-ნებობით ავიდა ტახტზე [8]). გიორგი, როგორც

---

[2]) გოლოვინი: „Историческое обозрѣніе Грузіи" 1864 г.", გვ. 62—63.

[3]) „ქარ. ცხოვ." აზრით, რომელსაც მარრი ბროსეც ეთანხმება, ეს არის უმთავრესი მიზეზი დავითის და მისი მემკვიდრეების ძლევა მოსილი მფლობელობისა, ვიდრე მონგოლების ზედ დასხმამდე (იხ. „ქ. ც", გვ. 241). დ. ბაქრაძე არ ეთანხმება ამ აზრს; ის ამბობს: „უმთავრესი მიზეზი საქართველოს გაძლიერებისა იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი ჩვენი ტომი დავითის დროდამ თამარის სიკვდილამდე მჭიდროდ შეერთებულ მტკიცე ხელს ეპყრა. ქართველები იზიდავდნენ თავის დროშის ქვეშ გარეშე მოსახლე ტომთა. საქართველოს მდგომარეობა გვაგონებს ფედერატულ კავშირს სხვა-და სხვა ტომთან (ვახუშტი, გვ. 219.)

[4]) იხ. გოლოვინი „Истор. обоз. Грузіи", გვ. 64.

[5]) იხ. მეფის წული დავითი „Краткая исторія Грузіи", გვ. 27.

[6]) გოლოვინი, გვ. 65.

[7]) ვახუშტი „საქართ. ისტორია", გვ. 189.

[8]) მარი ბროსსე: „საქ. ისტ.", ნ. 1, გვ. 157; გოლოვინი, გვ. 67; მეფის წული დავითი, გვ. 27.

მეფე, შესანიშნავი მხნე და მამაცი იყო. მან უფრო გააძლიერა საქართველო. მის დროს, გოლოვინის სიტყვით, „საქართველო სუნთქამდა კეთილდღეობით“. ვახუშტის სიტყვით, „გიორგიმ დაიპყრო რა სამეფო თვისი სპერის ზღვით (ჭოროხის და ტრაპიზონის შავი ზღვის პირი) კასპიისამდე, აღიჭურვა მისვლად აგარიანთა და პირველად მოჰფინა წყალობა ამერ-იმერეთა, ზემო-ქვემოთა (ქართლი); დაიპყრო კლდოანი და ქალ. ამორანი სომეხთა მეფედ წოდებულისა—,ქალ. ანი... [9]) მეფობდა ესე გიორგი კეთილად, რამეთუ რომთა და ბერძენთა მეფენი მეგობრობდნენ, სპარსნი და არაბნი სძღვნობდნენ და ძრწოდნენ [10]).—უფრო დიადი, უფრო ბრწყინვალე იყო თამარის მეფობა. „ქართ. ცხოვ.“ უსაზღვრო აღტაცებით იხსენიებს თამარს და მისი საქმეებს. მანდატურთ უხუცესი ჭიაბერი („ქართ. ცხოვ“, გვ. 282), ერთს თვის გუჯარში, თამარს იხსენიებს „ღვთისა სწორად, მეფეთ-მეფედ“. [11]) თამარის მხედრობა შეიქმნა რაღაც უძლეველი, ზღაპრული დევ-ბუმბერაზი. მის წინ გარბოდა თვით ხალიფს უძლეველი დროშა. მრავალ საოცარ ომთა შორის, ამ მეფე-ქალმა მოახდინა ორი, რომელნიც საუკუნოთ დარჩებიან საქართველოს ისტორიაში და რომელთა მზგავსი იშვაითად ახსოვს თვით მსოფლიო ისტორიას—ომი შაჰის ამირ-ბუბაქრთან 1203 წ. და სულთან ნუქარდინთან 1204 წ. [12])

გავრცელდა ყოველ მხრივ ხმა თამარის დიდების და ქართველების უძლეველობისა. შეკრთა და შეშინდა საქართველოს წინაშე მთელი აღმოსავლეთი. ამის შემდეგ დაცხრა ამაყი ირანი და მცირე აზია, ქედი მოიხარა მთელმა მუსლიმმა; თამარს ხარკს აძლევდა და მისი წინაშე მძიმე ნობათით მიდიოდნენ ბაღდადის ხალიფა და ალეპოს სულთანი... [13]) თამარმა დაიმორჩილა ურჩნი და მოუსვენარნი მთიულნი. ქართველ მეომართან ერთად, კავკასიონის მთა-კლდეებში ჯვარით ხელში მიდიოდა ქართველი მღვდელი, რომელსაც შეჰქონდა მთებში სხივი ქრისტიანობისა და განათლებისა. მტკვრის, ალაზანის, ლიახვის და თერგის მდინარებაზე გაჩაღდა მოქალაქობრივი ცხოვრება-მოქმედება. [14])

თამარის შრომას და საქმიანობას არ ჰქონდა საზღვარი. გაიყვანა არხები, ააგო ციხე-კოშკები და ეკკლესია-მონასტრები, ააშენა სოფლები და ქალაქები, ააგო მონასტრებთან შკოლები, გასცა ყველგან უხვი წყალობა, ხელი შეუწყო ვაჭრობა-მრეწველობის და მეურნეობის განვითარებას. ამ რიგად გაამდიდრა და ააყვავა თვისი სამშობლო. გაზარდა თვისი სამეფო შავიდგან კასპის ზღვამდე, დაიპყრო სომხითი, ნახევარი მცირე აზია, დაარსა ტრაპიზონის იმპერია [15]). ერთის სიტყვით, როგორც ამბობს ვახუშტი, თამარმა „სიბრძნითა თვისითა დაამშვიდა და დაიმორჩილა ყოველნი“ [16]). დღემდისაც არამც თუ საზოგადოდ ჩვენ ამერ-იმერში, თვით მიყრუებულ კავკასიის კუთხეებშიაც, იქ, სადაც არც ერთი ქართველი მეფე არ იხსენება, აქამდე უკვდავობს და ბრწყინავს დიდებული, თითქმის მითად ქცეული, სახელი თამარისა (დ. ბაქრაძის სიტყვები.).

თამარის ბრწყინვალებით დამონავებულია მთელი იმ დროის ლიტერატურაც. თუ კი თამარის დიდებას და ბრწყინვალებას აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელთა მწერალნი (მაგ. არაბთა მწერალი შიხაბედინ ელკაკაშენდი), განა გასაკვირველია, რომ საქართველოს პოეტებმა დაამღერეს ამ დიდებულ მეფეზე ფერადოვანი ხატობა და ვრცელი პოემები! განა გასაკვირველია მათ ექოთ-ედიდოთ „ქვეყნის მპყრობელი: მხნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი, მტკიცეთ მფლობელი, შარავანდ გმირი, ორგულთ გამგმირი, მტერთა ქვესკნელად დამამხობელი, სხვათა მძლეველი, თვით უძლეველი, რიტორი, ბრძენი“—თამარი! (აბდულ მესია—შავთელის სიტყვები).

—

ამ ნაირად საქართველო გაძლიერდა, აყვავდა პოლიტიკურად და ეკონომიურად. რიონის ნაპირნი, ველ-მინდორნი, მთა-ბოცვნი იმერეთისა, კახეთისა და ქართლისა მოიფინა ხუროთ მოძღვრების ტურფა და მშვენიერი ნაშთებით. გაძლიერდა საოცრად ქართველთა სული, გაშალა მან ლაღი ფრთები; განვითარების უმაღლეს ხარისხამდის მიაღწია საერო და სასულიერო ლიტერატურამ: გაჩნდნენ ქართულ მწერლობა-ხელოვნების დიდებული ნაწარმოებნი, რომელთაც განცვიფრებაში მოყავთ დღესაც მეცნიერ-არქეოლოგები და ორიენტალისტები. საქართველოს ასეთს აღყვავებას და ბედნიერ დროს, რასაკვირველია, დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ მონასტრებზე და ბერებზე ათონის, მთაზე პალესტინაში და სინას მთაზე. მეფენი და რჩეულნი აშენებდნენ და აახლებდნენ საყდარ-მონასტრებს; დაბალ ხალხს გულ-უხვათ მოჰქონდა ეკკლესიისათვის თვისი წვლილი. და არც გასაკვირველია. მაშინ ისეთი დრო იყო,—დრო სარწმუნოებრივ გამხნევებისა და აღტაცებისა. ცხოვრება მაშინდელ საზოგადოებისა თითქმის მთლად განსაზღვრული იყო სარწმუნოებით. მაშასადამე, ბუნებრივად, ყველას აინტერესებდა სარწმუნოების და მწიგნობრობის ცენტრები—მონასტრები.

როგორც მოვიხსენიეთ, ამ დროს ქართული სა-

[9]) ვახუშტი: „ისტ.“, გვ. 189.

[10]) იქვე, გვ. 196.

[11]) ვახუშტი „საქ. ისტ.“. გვ. 216, 217.

[12]) ჯანაშვილი. „Царица Тамара“, 1900 წ., გვ. 100—190.

[13]) ს. ქვარიანი. „მოამბე“ 1903 წ., № VIII, გვ. 24.

[14]) გოლოვინი. „Ист. обоз.“, გვ. 76.

[15]) ს. ქვარიანი „მოამბე“, 1903, VIII, გვ. 23.

[16]) ვახუშტი „ისტ.“, გვ. 197.

სულიერო და საერო ლიტერატურა გამაგრდა, აყვავდა. მართალია, მაშინდელ ჩვენს ლიტერატურას ატყვია ნიშანი სხოლასტიკისა, მართალია ის ცოტათი მოკლებულია სიცხოველეს და ბუნებრივობას, მაგრამ ასეთი იყო საზოგადო მიმართულება, სული დროისა!

ევროპაშიაც ამავე მოვლენას ვხედავთ. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი მხოლოდ ის არის, რომ საქართველომ შესძლო სრულად შეეთვისებინა მთელი მაშინდელი განათლება და მეცნიერება!

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ძველად საქართველოსთვის ბიზანტია იყო უმთავრესი წყარო განათლებისა. დავით აღმაშენებელის და თამარის დროს კი ქართულ ლიტერატურაზე დიდი გავლენა ჰქონდა არაბულ კულტურას და მეცნიერებას. არაბებმა ამ დროს დიდის ენერგიით და შრომის-მოყვარეობით ხელი მიყვეს ღვთის-მეტყველების, ბერძნული ფილოსოფიის, ასტრონომიის, ისტორიის, უფლების, კანონმდებლობის, მათემათიკის, რიტორიკის და მედიცინის ღრმად შესწავლას. სხვათა შორის, არაბთა მეცნიერების დამოუკიდებელი გამოკვლევანი უფლება—კანონმდებლობის სფერაში უდრიან ღირსებით რომაელების იურისტების ამგვარივე შრომას.[17])

არაბული განათლება შესანიშნავის სისწრაფით ვითარდებოდა და ფრთებს ისხამდა. მან დაინტერესა, თითქმის წარიტაცა ევროპაც. უკანასკნელი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა მეცნიერების აყვავებას არაბეთში და იქიდგან მოელოდა ახალს სიტყვას, ახალს ჭეშმარიტებას. ყოველივე ახალი სიტყვა, ყოველივე ახალი აზრი არაბულ მეცნიერ-სწავლულებისა, ევროპიელებს მიაჩნდათ მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად. არაბებს ისინი თვლიდნენ თვისი წინამძღვრებად, ავტორიტეტებად და მასწავლებლებად. მართლაც, არაბეთის სწავლულნი ღირსნიც იყვნენ ასეთის შეხედულობისა. მოკლე ხანში მათ გამოიჩინეს განსაკუთრებული ნიჭი, შრომის მოყვარეობა, მოსწრებულობა, შემოქმედება. მათი წყალობით შესანიშნავის სიჩქარით გავრცელდა განათლება აზიაში, აფრიკაში და ევროპაშიაც. რაც შეეხება არაბულ უმაღლეს შკოლებს და აკადემიებს, მათ განცვიფრებით იგონებენ და იხსენიებენ ევროპიელნი სწავლულნი [18]).

არაბებს, და საზოგადოდ ყველა მაჰმადიანებს, ჰქონდათ ორნაირი ტიპის სკოლა: დაბალი—თითქმის ყველა მეჩეთებთან და უმიღლესი ან აკადემიები. აკადემიებს ქალაქებში აარსებდნენ. დაბალ სკოლებში ასწავლიდნენ: კითხვას, წერას, პირველ დაწყებით ღრამატიკას. ზეპირად ზოგიერთ ძველ და ახალ პოეტების ლექსებს, ზოგიერთ ადგილებს ყურანიდგან. დაბალ სკოლებიდგან, თექვსმეტ წლიდგან ოცამდე, მოსწავლეები გადადიოდნენ უმაღლესში. ამ დროს ცნობილნი იყვნენ შემდეგ ქალაქების აკადემიები: ბაღდადის, ბასსორის, ბუხარის, დამასკის და სამარყანდის. აკადემიები დიდი მშვენიერი და საჩინო შენობებში იყვნენ მოთავსებულნი.

აკადემიებში უმთავრეს საგნებად ითვლებოდნენ: ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, იურისპრუდენცია, ლოღიკა, ფილოლოგია და დიალექტიკა. საბუნებისმეტყველო და ისტორიულ საგნების შესასწავლად აარსებდნენ სპეციალურ სასწავლებლებს, მედიცინას და ჰიგიენას ასწავლიდნენ კლინიკებში ან, უკეთ რომ ვსთქვათ, საავათმყოფოებში. ამ ნაირად სწავლა პრაქტიკულ ნიადაგზე იყო დაყენებული. თვისი მოწყობილობით აკადემიები ემსგავსებოდნენ ინგლისურ უნივერსიტეტების კოლეჯებს. აკადემიის სათავეში იდგა უფროსი და დამსახურებული პროფესორი, რომელიც განაგებდა ყოველივე სკოლის საქმეს. [19]).

როგორ იყო დაყენებული სწავლა-განათლების და სკოლების საქმე საქართველოში?

იპ. ვართაგავა.

ცხოვრება

რომანი გიუ დე მოპასანისა

თარგმანი ფრანგულათ დ. კასრაძისა.

II

ეს მეცხრე ფერმა გაჰყიდა ბარონმა იმ ოცდა თერთმეტიდან, რომელიც მისმა მშობლებმა სამკვიდროდ დაუტოვეს. ეხლა მათ ჰქონდათ მკვიდრი ასე ოცი ათასი ლივრი სადღლოში მოსავალი, რომელსაც ყოველ შემოხვევაში, სულ ცოტა, წლიურად შეეძლო 30 ათასი ფრანკი შემოეტანა.

მათი უბრალო ცხოვრებისათვის ეს შემოსავალი მუდამ საკმაო იყო, რომ საუბედურად მათ სახლს გახვრეტილი ძირი არა ჰქონოდა.—ეს იყო მათი დაუშრეტელი გულკეთილობა. ყოველ დღე ხელიდან ფული ისე უქრებოდათ, როგორც წყობი სიცხის ფულზე. ფული დნებოდა, მიდიოდა, უგზოდ ჰქრებოდა. სად? როგორ? არავინ იცოდა.

„სწორედ არ მესმის, როგორ მოხდა,—ეუბნებოდა ერთი მეორეს,—დღეს ასი ფრანკი ხელზე ისე შემოვსარჯა, რომ თვალზე მისაფარებელი არა შემიძენია რა.“

ასე ხელ ფართეთ გაცემა თავიანთ ქონებისა პირველი დარგი იყო მათი მოვალეობისა, გულ კეთილი ცხოვ-

---

[17]) იხ. ვლ. ჩერევანსკი: „Міръ ислама и его пробужденіе“, ნ. II, გვ. 222.

[18]) იხ. ვილმენი: „Исторія литер. сред. вѣковъ“, ტ. 1, 1836 წ., გვ. 141—152;—ვებერი: „Всеобщ. исторія“, ტ. VI, 1887 წ, გვ. 457—9.

[19]) იხ. ვებერი: „Всеоб. ист.“, ტ. VI, გვ. 459.

რებისა. და ამ წერტილზე შეეინულნი ისინი ელოდნენ რაღაც დიდებულ რამეს, სამაგიერო ჯილდოს.

— ეხლა,—იკითხა ბოლოს ჟანამ,—მითხარით გეთაყვა, როგორია ჩემი დარბაზი?

ბარონს სიხარულის ფერმა გადაჭარა.

— შენ თითონ ნახავ, ჩემო გოგონა,—უპასუხა ადტაცებით.

ამასობაში აგადარმა იკლო, თითქოს ერთგვარს ბურუსში, კორიანტელში მტვერში არეული წვიმა სცრისო. დაშლილ-დაფლეთილი ღრუბლის ნაფლეთები შეთეთრდა და შეცრივ იქ, სადაც ორიოდ წუთის წინად არა მოსჩანდა-რა, კამარამ მზის სხივს პირი უყო და მიბნედილ ოქროს სხივებით კუმშად ანია არემარეს.

ნელ-ნელა ღრუბლებმაც იწყეს ქრობა. მეშუნვარე თადს გაცრეცილი სახე კვლავ გამოეჩნდა და ბოლოს გადაიშალა სპეტაკი ლაჟვარდი თავის მშვენებით. ნელმა ნიავმა ნელის წივილით ზოლი გაავლო და გიჟსავით გაიჭრა ველად, თითქოს ტანჯული მაწა ისვენებს და ამოდ ოხრავსო.

აი ისინი კიდეც გავიდნენ ჭალაკის პირად. აქა-იქ ფრინველები ფრიამულით ცის მადლს სწირავდნენ. ზოგნი ტოტებზე დამსხდარიყვნენ და ნელის გალობით ბულბულის შრომას შესდგომოდნენ.

ბინდმა თვალი მოჭკრა. ეტლში ჟანას გარდა ყველას ტკბილად ეძინა. სულ ორჯელ შეჩერდენ გზაზე სასტუმროსთან, რომ ცხენებისათვის მუხლში ქარი ამოეშვებინათ და შერია და წყალი მიეწვდინათ.

მზე ჩაამალა. შორიდან ზარების ხმა მოისმოდა. მახლობელ სოფელში სანთლები აენთოთ, აქა-იქ დარჯსავით გამოუუნტულ სახლებიდამ ცეცხლის ენები წერტილებივით ციაგობდენ. და უცრივ, მეორე გვერდით, ჭანდრისა და უზარმაზარ მუხის ტოტებში წითელ ბუშტსავით ამოგორდა დამის გუშაგი.

ისეთი საამური სიწყნარე ჩამოვარდა, რომ ეტლში მსხდომებმა თვანჯრები გამოადეს.

მალე ჟანსაც მოსტაცა ძილმა თვალი. ოცნებით დამთვრალი რულში იკრებდა ახალს ძალს. ხანდისხან ერთი და იგივე გაჭიანურებული მდგომარეობა თავს აბეზრებდა, თვალს გამოახელინებდა ხოლმე. ისიც კარედ იხედებოდა და ახალ-ახალ ფერმების დანახვაზედ, ანუ როდესაც რამდენიმე ძროხას ერთად შენიშნავდა, რომელნიც მაწაზედ დაწოლილიყვნენ და ზანტად იცოხნებოდნენ, სიამოვნებით ფოთრიალებდა და დიდხანს თვალს არ აშორებდა. შემდეგ გვერდს იცვლიდა და ხელ-ახლად თვალების ფულავდა, რომ შეწყვეტილი ზმანებანი დაებრუნებია, მაგრამ ეტლის გამუდმებული გუგუნი ყურს უერეებდა, გონება დაეალა და სხეულითა და სულითაც მოიქანცა, მთლად მოდუნდა.

ამ დროს ეტლი შეჩერდა შემოფარგლულ ეზოს პირდაპირ, სადაც სანათით ხელში გამოსულ მათ მომლოდინე მოჯამაგირეების გარს ეხვეოდა სოფლის ხალხი. ჟანას შეცრიე გამოეღვიძა და ეტლიდან ძირს მარდად გადმოხტა. მამასა და როზალიას ხელით მიჭეავდა ბარონსა, რომელიც ხანგრძლივ მოგზაურობის გამოისობით არაქათ გამოლეული მხოლოდ ნაწვეტ-ნაწვეტად იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვებს: „ახ, დმერთო ჩემო! ჩემო სიბრალო შვილებო! მას არ უნდოდა არც ჭამა და არც რისამე დალევა. სახლში შესვლისთანავე პირდაპირ საწოლს მიაშურა და თვალის დახამხამებაზე ღრმად ჩაეძინა

ანნა და ბარონი ერთად ვახშმობდენ, ერთმანეთს უღიმოდნენ და წამდაუწუმ ერთმანეთს ხელს ართმევდნენ ადფრთოვანებით. შემდეგ ბავშური გატაცებით შეუდგნენ ციხე-დარბაზის დათვალიერებას.

ეს იყო მადალი, უზარმაზარი ნორმანდიული დარბაზი, რომელიც მთელს ფერმისა და ციხის გასწვრივ გაჭიმულიყო. დამაზი, თეთრი ქვით ნაშენი კედლები ჟამთა ვითარებისაგან უკვე გამურულიყვნენ. იმდენად თვრთე ადგილი ეკავა, რომ მთელს სოფელს ადვილად შეეძლო მოთავსება. თვრთე გაშლილი დერათანი ამ შენობას შუაზე ჭეოფდა, რომლის თავსა და ბოლოზე უზარმაზარი კარები ეოველთვის დია იყო. ზედ შესვლის კარზე ორი კიბე რკალსავით გადახლართულიყო.

პირველ სართულზე, მარჯვნივ მშვენიერი სასტუმრო დარბაზი იყო, რომლის კედლები დახატული იყო ათასგვარ ყვავილებით, მცენარეთა ფურცლებით და ჭიერში მფრინავ ჩიტებით. ეოველი ავეჯი შეემოსათ ძვირფას ხალებით, რომლებზედაც ლაფონტენის იგავ—არაკები ნაქარგივით დაესურათებინათ. ჟანას სიხარულს საზღვარი არა ჭქონდა, როდესაც მან თავის ბავშობის დროს საყვარელი პატარა სკამი იპოვა, რომელზედაც წერილს და მურაის თავგადასავლის ილიუსტრაცია ამშვენებდა.

სასტუმროდან ერთი კარით ბიბლიოთეკაში გახვიდოდით, სადაც ძველის ძველს წიგნებს თუ უსარგებლო ნივთებს ნახავდით. მარცხნივ—სასადილო ოთახი, შეახლებული საკუჭნაოთი, სამზარეულო და თეთრეულის განჯინებით.

პირველი სართული დერეფნით ზედ შუაზე იჭრებოდა. ათი ოთახის კარები მწკრივად მისდევდა ერთმანეთს. ისინი ახლა აქ შევიდნენ.

ბარონმა ხელ-ახლად მოაწყობინა ეს ოთახი. ძვირფასი ხალ-ფარდაგები და კაკლის ხის ავეჯეულობა ამისთვის საგანგებოდა ჭქონდა მადლა ფერდულში მომზადებული და ამ დღისთვის ხელუხლებლად ინახავდა.

კედლებზე გაკრული იყო ფლამანდიური ძველი სტილის შპალერი, ზედ ნახატ მასხარა, სახე დაპრანჭულ კატუნებით.

ჟანამ შენიშნა თუ არა თავის საწოლი, სიხარულით გადაკისკისა. ოთხივე კუთხეზე უშველებელი მუხის ხიდან გამოჭრილი ბაგად შედებული ფრინველები, თითქოს დარჯად დასდგომოდენ მის ფართე საწოლს. ეოველს მხარეზე-კი მოხარატებული ეფავილები და ხის ნაყოფი ოთხს ღარიან ფეტს სუროსავით ზემოთ ასდევდა, რომლის უკანასკნელი მუხლი კორინთულ სტილით თავდებოდა და ამშვენებდა გამოხატული ვარდები და ცაში მფრინავი ანგელოზი.

ერთის შეხედვით მისი საწოლი ადამიანს ქანდაკი ეგონებოდა, და მიუხედავად იმისა, რომ ჟამთა ვითარებისა

გან ერთიანად გარუჯულიეო, მას თავის იერი ოდნავაც არ დაეკარგა და კიდევ კეკლუცად გამოიეურებოდა.

მუხლ ბალიში და მის საწოლზე ცად დახურული ორივე ხალი სულ ხელით იეო ნაკერი, მხოლოდ შუაგულში ოქროს მკერდით საუცხოოდ გაშლილი ზამბახი მოექარგათ.

როდესაც ჟანამ საზოგადო დათვალიერებით გული იჯერა, ხელად სანთელი გაანთო და ახლა თავის ოთახს დაწვრილებით დაუწეო შინჯვა.

ერთი ახალგაზდა ვაჟი და უმაწვილი ქალი, მწვანე წითელ და ყვითელს ტანისამოსში გამოწყობილნი, გამოესახათ კედლის ხალზე, და რაც უფრო საოცარია, ცის ფერ ხის ქვეშ ისხდნენ ვითომც, რომლის თეთრი ნაოფი თითქოს კიდეც მწიფდებოდა. იგივე ფერის უშველებელი ბაჭია კი მათსავ მახლობლად ოდნავად სძოვდა ეომრად ბალახს.

სწორედ ამ სურათის ქვემოდ, ცოტა განზე რომ დადგებოდით, თქვენ შენიშნავდით ხეთს პატარა რგვალს სახლს, მოწოწოლავებული სახურავებით; მხოლოდ მის მაღლა, თითქოს ცაში გადაკარგული ქარის წითელი წისქვილი ტრიალებდა.

ერთ სურათს მეორესაგან ლამაზი ეკვიალების გრეხილი არშია ჭეოფდა.

ორი სხვა კედლის ხალი ბევრათა ჭკვადენ ამ პირველსა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა სახლებს, საიდანაც ოთხი ახალგაზდა ვაჟი გამოდიოდა. თითო მათგანს ხელები ცაში აეწია, თითქოს გაცოფებულან და მუქარით ვისმე მისდევენო.

უკანასკნელს ხალზედ კი დრამა იეო. იმ ბაჭიას წინ, რომელიც პირველ ხალზე ბალახსა სძოვდა, ერთი ახალგაზდა კაცი მკვდარსავით ძირს განართხულიეო მხოდოდ ახალგაზდა გოგო კი ძუძუს ქვემოდან ხმლით მკერდს იგმირავდა.

ჟანამ ამავ ხალის ერთს კუნჭულში ერთი რამ საოცარი სურათი ამოაჩინა, რომლის დედა—აზრს ვერას ეონით ვერ მიმხვდარიეო. ეს იეო პატარა, მიკოსკოპიული ცხოველი, იმდენად მცირე და უჩინარი, რომ ამ დროს ბაჭია სასწაულით რომ მართლა გაცოცხლებულიეო, ისე ჩაჭყლაპავდა, როგორც მარცვალს, როგორც ღერ ბალახს, მაშინ როდესაც ეს ცხოველი ლომს წარმოადგენდა.

მალე ჟანამ ამ სურათში იცნო პირამისა და თიზებს ჭირნახული თავგადასავალი. ის იდიმოდა გულუბრიყვლოდ, რომ ეს სურათი ასე სადად შეესრულებიად, და ბედნიერად ჭრაცხდა თავს, რომ ამიერიდან შეეძლო ფიქრებით ჩაკარგულიეო მათის სიყვარულის პროცესში და ეოველს თვალის მიდულვაზე შეეძლო გადაკარგვა უხსოვარ დროში, რომ მათ გატაცებულ გრძნობებთა მოგონებით თვით დამტკბარიეო.

დანარჩენი ავეჯეულობა სულ სხვა და სხვა ჯურისა იეო. აქა ნახავდით ავეჯს, რომელსაც საზოგადოდ ეველა ძველს ოჯახებში სტოვებდენ ხოლმე, ბევრს კიდევ იმისთანას, რომლის ნახვა მხოლოდ ძველის ძველს მუზეუმებში შეიძლებოდა. ერთი მშვენიერი კამოდი ლეი XIV ხანისა და ორი სავარძელი ლეი XV ელვარე ტყავებით და ბრეშუმის ფუნჯებით მოერთოო. პირდაპირ კედელთან ბუხრის წინ იდგა გარდისფერი ხის საწერი მაგიდა, რომელზედაც იდგა გლობუსი და იმპერიის დროინდელი სათი.

ეს იეო ბრინჯაოს სკა, ოთხს მარმარილოს ბოძზე დაურდნობილი. საათის ქვეშ დავარაუებული ეკვიალების ბახჩა იეო გაშენებული. მათ ზემოდან საათის წვნიკი ენა ფირფიტასავით თხელს მოგრძო ჭუჭრუტანიდან ჩამოშვებულიეო და პატარა ფუტკრის შემურვილ ფრთებით ეკვიალებს თავს ეკლებოდა ნელის ტიკ-ტაკით.

საათმა თერთმეტი დარეკა, ჟანამ თავისი მამა გადაჭოცნა და ორივენი თავ-თავანთ ოთახებში გავიდნენ. ჟანას ძალიან სწეინდა, რომ ასე ადრე უნდა დაქანა, რადგან კიდევ იმდენი სანახაობა ჭქონდა და ამდენი რამე უნდა გაესინჯა დაწვრილებით.

ბოლო ოთახს რადაც სანათლით მოავლო თვალი და სანთელს შეუბერა.

საწოლი კედელზე იეო მიერული და მარცხნივ პატარა სარკმელი იეო გამოჭრილი, საიდანაც მთვარის ტალღები ლივლივით ოთახს ებნეოდა. ოთხივ კედელზე მქრალი სხივები უხვად ჭლამობდა მიმობნეკას, მხოლოდ თითქოს განგებ პირამისა და თიზებეს სურათს ნაზად ჭეოტნიდა, იდუმალ გრძნობით ელამუნებოდა. მეორე სარკმლიდან კი ჟანამ თავის პირდაპირ ეზოში უშველებელი მხტოვანი მუხის ხე დაინახა, რომელიც მთვარის გრილსა და საამო ზვირთებში მთლად ჩანთქმულიეო.

ჟანა თითქოს დათვრაო, თვალები მილულა, თავს ძალა დაატანა, მაგრამ იმ წამსვე გამოახილა. ისე ეგონა, თითქოს კიდევ ეტლში ზის და ეურებს თვლების გრიალი უბრუებსო. ჯერ უნძრეველად განაბა სული, იქნება სხეულის სიმშვიდე მოეპოვო და დამეძინოსო, მაგრამ ხორცს სულის სიძლიერემ მაინც დასჯაბნა.

უეცრივ ფეხებმა ბეუილი დაუწეეს, თითქოს ცეებამ დაურბინა. ჟანამ ვერ მოითმინა, სწრაფად წამოდგა და ტიტველა მკლავებით, ფეხ შიშველა, გრძელი ჰერანგის ამარად, რომელიც მას მოჩვენებას ამსგავსებდა, გადაბიჯა უხვად მიმობნეულს სხივების ზვირთებს, სარკმელი გამოაღო და გარედ დაიწეო ცქერა.

დამე ისე კაკაშკაშებული იეო, რომ ჟანა ეოველისფერს ისე კარგად ჭხედავდა, როგორც საკუთარს ხელის გულზე. მას ნელ-ნელა გაახსენდა თავის საყვარელი სამშობლო, ნაცნობი ადგილები, სადაც ოდესღაც თავისი ბავშობა გაეტარებია.

ეზო ამწვანებული მოდის ხალით გაშლილიეო, რომელიც მზის გამოისად ოდნავ შეეკეთლებულიეო, ასე რომ ერთის შეხედვით ერბო კარაქს მოგაგონებდათ. გალავნის პირდაპირ ორი უზარმაზარი ხე იდგა, ჭანდარი ჩრდილოეთით, ხოლო წაბლი—სამხრეთით.

მოდი პატარა ბუჩქებით თავდებოდა და ბოლოს ხუთი მხტოვანი ცოცხის ხე აგვირგვინებდა კარ-მიდამოს.

მარჯვნივ და მარცხნივ ასეთი ჯურის პარეა შემო-

ფარგლული იყო თითქოს ცამდე აბჯენილის ნორმალიულ ალვის ხეებით.

პირველი ხეივანი ამ კარმიდამოს გვალამების სა-გვარეულო ფერშებიდამ ჭსზღვრავდა, მხოლოდ მეორე—მარტვილის საგვარეულო მამულიდგან.

სწორედ ამ ალვის ხეების გამოისად უწოდეს ამ ციხეს „ალვნარის ციხე“. უკანა მხარეზე კი გაშლილი იყო დაუმშაგებელი მინდორი, რომელიც უსარგებლო ძურწა ბალახით იყო დაფარული, სადაც დღე და ღამ მხოლოდ ქარბუქი დასავარდობდა. შემდეგი მხარე კი ას მეტრის სიმაღლიდან გადაკიდულიყო თეთრ კლდის ნაპრალზე, რომლის ძირს ზღვის ზვირთები წუნარად ჭეორავდნენ.

ყანამ ორთოლვით გაჭედა ვერცხლის ფრად მოზავ-ზაგეს უფსკრულის ტალღებს, რომლის მკერდზედაც მიე-ძინათ დამის მნათობებს.

ამ მშვენიერს მომხიბლველ ღამეს უცხო მტენარეთ სუნნელოვნებს ანაგებდა. ანსამანი თითქოს განგებ აცო-ცებულიყო მის ფანჯრის წინ და ნორჩ ფოთოლთა დამა-ტებობელ სუნნელოვნებას უხვად ჭფენდა იმის ოთახში. განგლილ ავდარს მაინც თვისი გაეტანა: ჭაერში სიმდა-შის სუნი ტრიალებდა.

ყანა მთლად ჩაიღუბა ამ ღამის იდუმალ ტალღებში. აუწერელმა სადამოს სიწყნარემ ისეთი საამო სიმშვიდით ალვნო, თითქოს ციურ აბანოდან ამოსულიყოს.

ღამის ფრინველებმაც გაიდვიძეს და ზეიმ-განგაში ასტეხეს, მთვარის შუქს მალის ფრენის დროს ჩრდილის ლანდებით ჭსზავდენ, თითქოს ლაჯებით თითხნიანო. უხილავ მწერების კონცერტი ოდნავის ზუზუნით ესმო-და, მხოლოდ ნიავი კი სინესტის გამო ნამებსა სტრიდა და სველი ჭმურავდა ყვავილებს თუ ქვეშნარ ულა-ბნოს.

ამ საერთო ფერხულს ბაყაყებიც არ ჩამორჩენილიყვე-ნენ, მწკრივად წამოუსტულებს პირი მთვარისაკენ ეყოთ და ერთის ხმით ყიყინებდენ.

ყანას გული უკრთოდა, ათას იდუმალებით მოუბნე სურვილები თავს აწყდებოდა და ტოტხად პოეზიაში სულიე-რად ინთქმოდა, იხლართებოდა. ღამის სივრცეში შორით მან მოჭკრა თეთრს ქვეშნარს თვალი, რომელსაც ზღვის ტალღები დუმილით თავზე ევლებოდენ. ბუნებრივმა სიტ-კბოებამ დაათრო ყანა, და ათას გრძნობებითა და იმედებით აურეოლებულმა გამოურკვეველის სიამოვნებით ამოიოხრა.

ის სიყვარულზე ოცნებობდა!

სიყვარული! მთელ თორმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ მწუხარება და გაბმული მოწყენილობა იყო მის გულის სტუმარი. ვინ იცის, რამდენჯერ არ ოცნებობდა სიყვარულ „იმაზე“, რომლის ნახვა თუ გათქვრება სას-ტიკად ჭქონდა აკრძალული. და ეხლა ხომ სრული თავისუ-ფალი იყო, რომ „ის“ შეეყვარა, მხოლოდ „ის“, სა-ნუკარი და საყვარელი.

მაგრამ ვინ იყო ის? ან სად? ან რას აკეთებდა? მან არ იცოდა არაფერი და არც თუ კითხულობდა. „ის“ ის უნდა ეოფილიყო—აი რა!

მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მას გაადმერთებდა, მთელ სულის სიძლიერით ეყვარებოდა, რომ ისიც თა-ვის მხრით ამ თავგანწირულებას დაუფასებდა, ხელს მის-ცემდა. ყოველ დღე ამის მსგავს მომხიბლველ ღამეებში ერ-თად ვიდოდნენ სასეირნოდ, რომ ფეხით ეარნათ იმ ნა-ცარზე, რომელსაც ნაზად ვარსკვლავი გუნდი ჩამოჭფერ-ფლავდა. და ეს სომ იქნებოდა უადრესობის ადსავალი, რომ სამუდამოდ ჩაწნულიყვნენ ცხოველ გრძნობათა პოე-ზიით, ისე მტკიცეთ და ისე მჭიდროდ, რის წარმო-დგენა არ შეეძლო არც ერთს სიადუმლო აზრს.

და ეს ასე გაგრძელდებოდა დაუსრულებელ ზმანებაში, კალმით აუწერელს ციურს წამებში.

და, უცერივ,, მან ისე იგრძნო, ვითომც „იმას“ ჭხედავს თავის თვალ წინ. ეინულოვანმა ერუანტელმა თავით ფე-ხამდე დაურბინა. ხელები გულზე მიიწეო, რომ მას ფან-ტქალი ოდნავ მაინც შეეყენებია და რომ ოცნებისთვის თავი დაეღწია, სინამდვილეს დაჭბრუნებოდა. და ამ დროს მის მთრთოლვარე გაეინულს ტუჩებს უეცრივ რალაც გა-მოურკვეველმა სიომ შემოჭკრა ფრთები, თითქოს გაზავ-ხელისთვის მას ჩაეწნა მასთან სალამი და სიყვარული მი-ულოცოს ტუჩებზე კოცნით!

ამ დროს იქით, ციხის გვერდითა ფეხის ხმაურობა შემოესმა. ის თითქოს გადირია, გიჟსავით წამოიწრა და განგების იმედით—იქნებ შეუძლებელი შესძლო ჩემთვისო, ან იქნებ ბედმა განგებ მოაწეო ადრიანად ყველაფერიო, მან გაიფიქრა: „ეს რომ ის იყოს!?“ და ბოლოს მცი-რე ნაბიჯი გადასდგა, დაკვირდა და მწუხარედ შეჭნიშნა, რომ ეს ვიღაც გამვლელი იყო, რომელიც მათ ეზოს მესერის წინ შესდგა და პურ-მარილის თავაზობა შესთხო-ვა მათს მოჯამაგირეებს.

როცა ის გასცდა მათ სახლ-კარსა, ყანა მწარედ და-დონდა, როგორც მოტეეებული ბავშვი. მაგრამ რომ თა-ვის თავს დაკვირდა, თვითვე გაეცინა თავის სულელურ ალმაფრენისა.

შემდეგ დამშვიდდა და ახლა დინჯად შეუდგა მომა-ვალის რკვევა-ძიებას, რომ იქიდან ამოეკითხა მომავალ ცხოვრების ამოცანა.

ეჭვს გარეშეა, რომ ის მასთან აქ დარჩებოდა, ამ მშვიდ ციხე-დარბაზში, რომელიც ზღვასაც ისე მფლო-ბდა, როგორც მთელს ირგვლივ არე-მარეს. მით უეჭვე-

ლია, ორი ბავშვი ეყოდებოდათ, ვაჟი იმისთვის, გოგოკი თავისთვის. და აგერ ის კიდეც ჭხედავს, თუ როგორ ტელქობენ ისინი ამ მწვანეზე, თელებსა და ალვებს შუა. მამა და დედა კი უკან მისდევთ, შეჭხარიან, იწერენ ხელში და გულში ჩაკრულებს ხუჭუჭა თმებზე ჭკოცნიან.

დიდხანს. ძალიან დიდხანს იყო ამ ოტნებით გატაცებული. დიდი ხანია, მთვარემ უკვე რაც თავის გზა შეასრულა, ზღვის ტატნოებზე ჩაიძირა. ჭაერს სიგრილე მოეტა. აღმოსავლეთით ჭორიზონტი გაცმეტილ სახით ციმციმდა. ფერმის მარჯვნივ მამალმა გათენება აუწყა დობილთ, მას მეორე გამოეხმაურა ფერმის მარცხენა მხრიდან. მათი ხრინწიანი ხმა შორს მინდვრებში იკარგებოდა და ვინ იცის, რამდენ მანძილზე დაშორებულ სხვა მეფერმეთა საქათმეში შურდულივით იჭრებოდა, რომ იქაურ დობილთა შორისაც ალიაქოთი აიტეხა. ლაჟვარდს კამარასკე ვარსკვლავთ ქსოვილი იშლებოდა და ნელნელის ფერფლით უჩინრად ჭქრებოდა.

ამსობაში ფრინველებმაც გაიდვიძეს, საამური ყლურტული მოართეს; შემდეგ ბუდიდან გადაფრინდნენ, ტოტიდან ტოტზე და ბოლოს სადღესასწაულო ყდივილ-ხივილით გუნდი და გუნდი გაიშალა მინდორ-ველზე.

ჟანა გაბრუებული იყო ამ სანახაობით, ხელები თავზე მოეჭიდა და გაშეშებული ამომავალ მზეს შესჩერებოდა.

უეცრივ მზემ მახვილი სხივი ამოსტეორცნა და შიგ თვალებში შეუტეხა. ჟანას თვალთ მოეჭრა, თვალები სწრაფად მოჭხუჭა და უკან გადადგა.

ალვნარის ხეივანს იქიდან კი მოწეულ დრუბლების ზვირთები ნელნელა აგორდენ, წამოხეთქეს და წითელ სისხლსავით გადმოენთხენ მთელს არემარეს.

ხეთა წვეროანი ტეტხლის ალში გამოეხვივნენ, წუნარმა ოკეანემ სიამოვნებით ამოიფშვინა და ნაზად გულზე მიიხუტა ელვარე ალში გახვეული აგორებული ბურთი.

ჟანა მთლად გადირია ამ მომხიბვლელ სანახაობით და გამოუთქმელი გრძნობებით აღფრთოვანებული უზომო ბედნიერებას განიცდიდა. ეს იყო მისი მზე! ეს იყო მისი განთიადი, მისი ცხოვრების დასაწყისი, იმის იმედთა ბირველი გადადგმული ნაბიჯი! გაელვარებულ ცის კოცონისკენ ხელნი აეპურა, თითქოს ჭსურს აღვსილი სიხარული გადმოანთხიოს და მადლობის ნიშნად მზე დაჭკოცნოსო. ჭსურდა ეუყირნა, ეთქვა რამ დიდებული როგორც დიდებული და აუწერელი იყო განთიადი, და რომ ჭხედავდა თავის უძლურებას, მხურვალე ტრემლებად იღვრებოდა...

ჟანა სტიროდა ნეტარების ნეტრით დამთვრალი!

როცა გამოერკვია, შენიშნა, რომ განთიადის სუტხოვო სურათი უკვე გამქრალიყო. ის თითქოს დამშვიდდა, მთელის სხეულით მოეშვა და ოდნავ გაყრეოლა, თითქოს სიცივემ შემოჭკრაო. შემდეგ სარკმელი არცკი დახურა და პირდაპირ საწოლს მიაშურა: ოდნავად წამოწვა, თან ჩაიეოლა ოდნავი ფიქრებით კიდევ ოტნება ტოტახანს და მკვდრულის ძილით ჩაეძინა.

(შემდეგი იქნება.)

რედაქტორ-გამომცემელი **სვ. ყიფიანი.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დროება

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. მომავალ 1910 წელს გაზეთი „დროება“ გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1909 წ. გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება **სურათებიანი დამატება**. დამატება გამოვა კვირაობით. გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში ისე ქალაქ-გარეედ 8 მან. და 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. და 80 კ., ერთი თვით 80 კ. (1 მანეთის მაგიერ). საზღვარ გარეედ 12 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან **ერთ შაურად**. დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდ კაპეიკად. აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიუ პელის მომწერლებს დაურიგდებათ **კედლის კალენდარი**, კვირეულის ფურცლებით

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან. ქალაქ გარეედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში— სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა უქმის გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარეედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნან ამ აღრესით: Тифлисъ, газ. „Дроэба“.

1910 წლის 1 იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ფონზე“

წლიურათ გაზეთი ეღირება —	— 3 მან. 50 კაპ.
ნახევარი წლით — — —	— 2 მან. — კაპ.
სამი თვით — — — —	— 1 მან. 20 კაპ.

ვინც 20 დეკემბრამდე მომავალი წლისთვის გამოიწერს გაზეთს, ყველა დეკემბრის №№ უფასოთ დაეთმობა.

ადრესი: Кутаисъ, реракція „ПОНИ“, Балахванская улица, домъ № 37.

ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე ისიდორე კვიცარიძესთან.

Открыта подписка на 1910 г.

(ТРЕТІЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

на двухнедѣльный журналъ

„ФИНЛЯНДІЯ“

Выходитъ 10 и 25 числа каждаго мѣсяца.

24 номера въ годъ.

Редакторъ: А. В. Игельстромъ.

Издатель: Д. Д. Протопоповъ

Задачей журнала „Финляндія“ является освѣщеніе такъ называемаго „финляндскаго вопроса“ и отраженіе несправедливыхъ шовинистическихъ нападковъ извѣстной части русской періодической печати на Великое Княжество и его внутреннюю самостоятельность, многократно подтвержденную россійскими Монархами.

ФИНЛЯНДІЯ кромѣ того даетъ обширный фактическій матеріалъ по всему, что касается жизни этой страны и что содѣйствуетъ культурному сближенію русскаго и финландскаго общества.

Подписная цѣна съ доставкой и пересылкою: въ Россіи и Финляндіи на цѣлый годъ 6 руб., полгода 3 руб., три мѣсяца 1 руб. 50 коп.

Отдѣльные номера 25 копѣекъ. (Наложеннымъ платежомъ 35 копѣекъ).

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Мойка, 24 (у Пѣвческаго моста), въ книжномъ магазинѣ Р. Эдгрена (Б. Конюшенная, 8), „Наша Жизнь“, М. О. Вольфа, а также во всѣхъ книжныхъ магазинахъ столицъ, Финляндіи и провинціи.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ეღირება თბილისში და თბილის გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ 14 მან. წლით, ნახევარი წლით 7 მან., ხელის მოწერა მიიღება თბილისში „მომავლი“ ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატარუში ს. თავართქილაძესთან —წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში - მ. თალაქვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში—პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Кон. Цуладзе.

„ᲫᲛᲝᲒᲐ“



ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲨᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲙᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ, ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲝᲛᲑᲠᲣᲜᲘᲡᲘᲡ. ᲢᲔᲚᲔᲤ. ᲜᲝᲛᲠᲘ № 1036.

(ᲬᲚ.—Ნ.—12)

„ᲫᲛᲝᲒᲐ“

განყოფილება მსწრაფლ-მბეჭდავ „პროგრესისა“ დვორცოვის ქუჩა, სახლი სათ.-აზნაურო ბანკისა.